CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 2 თებერვალი, 2009 წელი. №21 (2059) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პრესმბუდსმენი
A3

დიდი ქაოსი საარბიტრაჟო სისტემაში
A5

დიდი სლემის მოსაგებად ნადალმა პირველი ნაბიჯი გადადგა
A15

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი
ჩვენის საადაზღვევო ჯგუფი

"რუსეთი არასწორი მიმართულებით მიდის"

საქართველოში რუსეთის ბაზების არსებობა დასავლეთისთვის მიუღებელია

რუსეთის ფედერაცია აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმთან გაფორმებული ე.წ. "საერთაშორისო ხელშეკრულების" საფუძველზე აპირებს, რომ გუდაუთის რაიონში მდებარე ბომბორის აეროდრომზე განალაგოს რუსული სამხედრო საჰაერო ძალების დაჯგუფება. რუსული საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, კრემლს აფხაზეთში 20 თვითმფრინავის განთავსება აქვს განზრახული. მათ შორის, გათვალისწინებულია სუ-25 ტიპის მოიერიშე, სუ-27 გამანადგურებლების და სამხედრო-სატრანსპორტო დანიშნულების თვითმფრინავების განლაგება. გუშინ შეერთებულმა შტატებმა რუსეთს მოუწოდა, თავი შეიკავოს აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განთავსების გეგმის შემუშავებისაგან.

დათო გამისონია

რუსულმა მედიამ აფხაზეთის მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ უახლოეს ხანებში ხელი მოეწერება შეთანხმებას რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილის აფხაზეთის ტერიტორიაზე ბაზირების შესახებ. რუსული მხარე ცდილობს, წარმოაჩინოს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბაზების განთავსებას თითქოს აფხაზეთსა და რუსეთს შორის გაფორმებული ცალკეული „საერთაშორისო შეთანხმებები" ითვალისწინებს და ის არ წარმოადგენს სარკოზი-მედვედევის შეთანხმების დარღვევას.

ევროსაბჭოს საპარლამენტო

გაგრძელება A2 გვერდზე

მთავარი ღირსშესანიშნაობა - სიმშვიდე

არჩევნები ერაყში

მარიკა იაშვილი

არჩევნების დღე ერაყში უჩვეულოდ მშვიდი იყო. მას საერთო არაფერი ჰქონდა 2005 წლის არჩევნებთან, როდესაც შეიარაღებული პირები ქუჩებში თუ საარჩევნო უბნებზე ერთმანეთს ცეცხლს უხსნიდნენ. მაგალითისთვის იმის გახსენებაც კმარა, რომ თუ 2005 წლის არჩევნების წინა პერიოდსა და უშუალოდ ხმის მიცემისას დღის განმავლობაში ასამდე შეტაკება ხდებოდა, ამჯერად მხოლოდ ერთი ინციდენტი დაფიქსირდა - შემთხვევითი გასროლა.

რეგიონული საბჭოს არჩევნების მთავარ ღირსშესანიშნაობად არა ამომრჩეველთა აქტივობა ან სხვა მსგავსი, ერთი შეხედვით მნიშვნელოვანი დეტალი, არამედ სწორედ სიმშვიდე იქცა. თუმცა არ შეიძლება იმის დავიწყება, თუ

გაგრძელება A7 გვერდზე

საქართველოს ბუნებრივი აირის ბაზრის თავისებურებანი

რუსეთ-უკრაინის გაზის ომმა უკვე ჩაუტარა გაკვეთილი ევროპას, რომელიც აქტიურად ალაპარაკდა ენერგოდივერსიფიკაციის აუცილებლობაზე და ნაბუკოს პროექტის მისამართითაც უფრო სერიოზულად განეწყო. თუმცა ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევა უახლოესი პერიოდის საქმე ნამდვილად არ არის. თავად ნაბუკოს პროექტიც, ოპტიმისტური გათვლებით, ევროპას რუსულის ალტერნატიული აირით მხოლოდ 2014 წელს მოამარაგებს. ცხადია, ეს პროექტი საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხსაც მნიშვნელოვნად გაზრდის. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებაში ირწმუნებიან, რომ ქვეყანა დღესაც არ არის დამოკიდებული „გაზპრომის" გაზზე და, შესაბამისად, რუსულ ენერგობერკეტებზე. რეალურად მოახერხა თუ არა საქართველომ ის, რაც ჯერჯერობით ვერ შეძლო ევროპამ - არ იყოს დამოკიდებული „გაზპრომზე" ანუ რუსეთის ხელისუფლების ხელთ არსებულ მთავარ ენერგობერკეტზე - ამის გასარკვევად „24 საათმა" საქართველოს ბუნებრივი აირის ბაზრის სპეციფიკაში გარკვევა სცადა.

თამარ ხორბალაძე

უახლოესი წარსულის მწარე გაკვეთილებიდან საქართველოში ალბათ კარგად ახსოვთ სამი წლის წინანდელი ზამთარი, როცა 2006 წლის 21 იანვარს, მაგისტრალურ გაზსადენზე მომხდარი აფეთქების საბაბით, საქართველოს რუსეთიდან გაზმომარაგება შეუწყდა. ქვეყნისთვის, რომელსაც უკრაინასავით არც საკუთარი გაზსაცავი ჰქონდა, რომლითაც „სარემონტო პერიოდში" გაზმომარაგებას უზრუნველყოფდა, არც მოქმედი ალტერნატიული გაზსადენი, არც ქვანახშირზე მომუშავე გათბობის სისტემები, როგორც, მაგალითად, პოლონეთს, ეს საკმაოდ სერიოზული არგუმენტი იყო იმის დასანახად, თუ რამდენად იყო დამოკიდებული საქართველო რუსულ ბუნებრივ აირსა და, შესაბამისად, პოლიტიკურ კეთილგანწყობაზე.

გაგრძელება A4 გვერდზე

CMYK - 1

ორი სიტყვით

თბილისი. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, ენერგეტიკულ პროექტ „ნაბუკოში“ საქართველოს წარმომადგენელი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე იქნება. **მედიანიუსი**

ზუგდიდი. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს შაბათს, როდესაც ისინი ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონისა და გალის რაიონის სოფელ თაგილონის საზღვარს ათვალიერებდნენ, აფხაზმა ბოევიკებმა ცეცხლი გაუხსნეს. **მედიანიუსი**

თბილისი. ერაყის საელჩო საქართველოში ოფიციალურად ამ თვიდან ამოქმედდება. ერაყის მომავალი ელჩი საქართველოში ტაიბ მოჰამედ ტაიბი იქნება. **პირველი**

თბილისი. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია რესპუბლიკურ საავადმყოფოში მესამე დღეა, შიმშილობს მოთხოვნით, რომ “პირველი არხის” პროგრამა “დიდ ათეულში“ კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები წმინდანების გვერდით არ იყვნენ. **ინტერპრესნიუსი**

თბილისი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. „პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ამ ეტაპზე ილია მეორე საპატრიარქოში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება,“ - განაცხადა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე მამა დავით შარაშენიძემ. **პირველი**

ინციდენტი გალის რაიონში

გალის რაიონის სოფელ დიხაზურგაში რუსი ოკუპანტების ჯავშანტრანსპორტიორი წყლით სავსე თხრილში ჩავარდა, რის შედეგადაც ორი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, სამი კი მძიმედ დაშავდა. დაშავებულები გალის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რუსი ოკუპანტები რეიდს აწარმოებდნენ და ისინი მოსახლეობისაგან საკვებ პროდუქტებს მოითხოვდნენ. ინციდენტი კი მაშინ მოხდა, როდესაც ისინი სოფელ დიხაზურგადან ჭუბურხინჯში ბრუნდებოდნენ.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო სოფელ დიხაზურგაში რუსი სამხედრო მოსამსახურეების დაღუპვის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

„არანაირი შემთხვევა, მით უმეტეს აფხაზეთში მყოფი რუსი სამხედროების გარდაცვალების ან დაშავების ფაქტი არ დაფიქსირებულა,“ - აცხადებს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების სარდლის თანაშემწე იგორ კონაშენკო. **ინტერპრესნიუსი, პირველი**

სახელისუფლებო გუნდი სოზარ სუბარის შემცვლელს ეძებს

საპარლამენტო უმრავლესობა სახალხო დამცველის პოსტზე სოზარ სუბარის კანდიდატურას მეორე ვადით მხარს აღარ დაუჭერს. სოზარ სუბარს უფლებამოსილება მიმდინარე წლის სექტემბრში ეწურება, თუმცა, დღემდე მისი სავარაუდო შემცვლელის ოფიციალური კანდიდატურა არ სახელდება. საპარლამენტო კულუარებში საუბრობენ, რომ სახალხო დამცველობა ოპოზიციონერ დეპუტატ დიმიტრი ლორთქიფანიძესაც სურს, რომლის კანდიდატურაც, გამორიცხული არ არის, უმრავლესობისთვისაც მისაღები იყოს, თუმცა, უმრავლესობის ნაწილი ლორთქიფანიძის წინააღმდეგ შესაძლოა სწორედ მისი პოლიტიკოსობის გამო წავიდეს.

ამასთან, დიმიტრი ლორთქიფანიძის პარლამენტიდან წასვლის გამო ფრაქცია “ძლიერ საქართველოს“ მეექვსე წევრის პოვნა მოუწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფრაქცია დაიშლება.

სახალხო დამცველის კანდიდატურად პოლიტიკურ კულუარებში გიორგი ჩხეიძესაც ასახელებენ, რომელიც სოფო ხორგუანის პოლიტიკაში წასვლის შემდეგ სოზარ სუბარის მოადგილედ დაინიშნა.

გიორგი ჩხეიძე თავდაპირველად პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის უფროსი იყო, შემდეგ პროკურატურის, რის შემდეგაც საკუთარი სურვილით, არასამთავრობო სექტორში გადაინაცვლა და “ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე გახდა. **ინტერპრესნიუსი**

"რუსეთი არასწორი მიმართულებით მიდის"

პირველი გვერდიდან

ასამბლეამ ამ საკითხის შესახებ რეზოლუციაში უკვე მიიღო შესწორება, კერძოდ: **ასამბლეა გმობს რუსეთის სამხედრო ყოფნას და ახალი სამხედრო ბაზების მშენებლობას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონებში, ასევე ახალგორში, პერევში, ზემო აფხაზეთში და ომამდე საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სოფლებში.**

მსგავსი პოზიცია გუშინ შეერთებულმა შტატებმაც გამოხატა. ვაშინგტონში მიიჩნევენ, რომ მოსკოვის ასეთი ქმედებები მის მიერ აღებული ვალდებულებების დარღვევაა.

სააგენტო როიტერისთვის მიცემულ ინტერვიუში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ განაცხადა, რომ **რუსეთმა აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განთავსებისგან თავი უნდა შეიკავოს.** აფხაზეთში **სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზების განთავსება, ასევე მსგავსი ქმედებები სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მიუთითებს, რომ მოსკოვი არასწორი მიმართულებით მიდის. რუსეთმა აიღო ვალდებულება, შეემცირებინა სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი აგვისტოს კონფლიქტის დაწყებამდე არსებულ რაოდენობამდე. მან ეს ვალდებულება უკვე დაარღვია, ხოლო აფხაზეთში სამხედრო ბაზების განთავსება კიდევ ერთი დარღვევა იქნება.**

სარკოზი-მედვედევის შეთანხმების გაფორმებამდე დიდი ხნით ადრე რუსეთს სტამბულის სამიტზე აღებული ჰქონდა ვალდებულება, რომ საქართველოში ბაზებს აღარ შექმნიდა და პირიქით - გაიყვანდა. რეგიონის დემილიტარიზაცია უკვე დიდი ხანია დასავლეთის ინტერესებში შედის და ხელს არავის აძლევს, რომ ევროპა-აზიის ამ ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული შეიარაღება გაჩნდეს. რა თქმა უნდა, რუსეთის ინტერესშია, რომ ეს რეგიონი იყოს დესტაბილიზებული, მაღალი რისკის მქონე, სადაც ეკონომიკური პროექტების განხორციელება ძალიან რთული იქნება. ამ საკითხზე, 24 საათი ესაუბრა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელ კახა გოგოლაშვილს. მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტორებზე, რამაც შეიძლება შეაფერხოს რუსეთის გეგმების განხორციელება. მისი თქმით, **რუსეთს კიდევ მრავალი სხვა მიზანი ამოძრავებს. რუსეთის ფედერაციას აქვს ისეთი გეგმები, რომლებიც შეიძლება განახორციელოს, შეიძლება არა. ახლა ძნელია ამაზე საუბარი. მისი გეგმების რეალიზების თავიდან აცილება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ აქ ძალიან დიდი ძალისხმევა იქნება საჭირო. ცხადია, რომ ეს საკითხი შეიძლება ვაჭრობის საგანი გახდეს. თავისთავად, რუსეთს თავისი ალტერნატიული მოთხოვნებიც ექნება. ხოლო მისი განუხორციელებლობა სხვა დათმობებთან მიმართებაში შეიძლება პირობითი იყოს. დღესდღეობით რუსეთი, რა თქმა უნდა, ისეთი გეგმების აფიშირებას შეეცდება, რომლებიც აბსოლუტურად მიუღებელი და გამაღიზიანებელია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ შეერთებული შტატებისა და ევროკავშირისთვის.**

რუსეთის საჯარისო ფორმირებები საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არიან განთავსებულები. სხვა საკითხია, თუ რუსეთმა დიდი ინვესტიცია ჩადო, სამხედრო ინფრასტრუქტურა ააშენა და ბაზა განავითარა. აქ მხოლოდ აეროპორტზე არ არის საუბარი, საქმე სხვა მრავალ სამუშაოსაც ეხება და ამისთვის რუსეთს დიდი თანხის დახარჯვა დასჭირდება. კახა გოგოლაშვილის აზრით, **ძალიან სახიფათოა ასეთი პროცესის დაწყება. ამ შემთხვევაში უკვე რთული იქნება რუსეთის დათანხმება, რომ განხორციელებულ პროექტებზე უარი თქვას. ამის გამო გართულდება საუბარი აფხაზეთის კონფლიქტის რაიმე სახით მოგვარებაზე და სიტუაციის შემობრუნებაზე. ამიტომ ასეთი თემებით რუსეთი ევროპას აშინებს და დივიდენდების მოპოვებას ცდილობს. ის ფიქრობს, რომ საქართველოს სხვა რაღაცებს დაათმობინებს. ეს შეიძლება იყოს თუნდაც ნატო-ში ინტეგრაცია, ნაბუკოს პროექტში მონაწილეობაზე საქართველოს მიერ უარის თქმა. შესაბამისად, დასავლეთი უფრო გააქტიურდება. ჩემი აზრით, აშშ-ს და ევროკავშირის პოზიცია გავლენას მოახდენს რუსეთის გადაწყვეტილებაზე,** - განმარტა გოგოლაშვილმა.

ოპოზიციური პრაიმერი

“ხალხის პარტიის” ლიდერ კობა დავითაშვილის განცხადებით, ოპოზიციამ უნდა გაითვალისწინოს წარსულის გამოცდილება და ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისთვის საერთო კანდიდატი წარადგინოს. დავითაშვილის აზრით, პრაიმერის საშუალებით უნდა გამოვლინდეს მაღალრეიტინგული კანდიდატი. როგორც “24 საათს” კობა დავითაშვილმა განუცხადა, წინა არჩევნებში ოპოზიციამ ნაწილობრივ მაინც მიაღწია კოორდინაციას. დავითაშვილი იმედს არ კარგავს, რომ ოპოზიცია მომავალში უფრო შეთანხმებულად იმოქმედებს.

„ლოგიკურად მიმაჩნია ის, რომ ოპოზიცია შეთანხმდა სააკაშვილის გადადგომის და რიგგარეშე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე. სასურველია, რომ ოპოზიციას როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნებში ერთიანი კანდიდატი ჰყავდეს. ერთიანი კანდიდატის გამოვლენის საუკეთესო საშუალებად წინასწარი არჩევნები, ე.წ პრაიმერი მიმაჩნია, როდესაც ჩვენ ხალხს დავეკითხებით, ვინ იყოს ოპოზიციის საერთო საპრეზიდენტო კანდიდატი, - ხალხის პარტიის ლიდერის ეს კომენტარი გუშინ სააგენტო ჯი-ეიჩ-ენით გავრცელდა.

დავითაშვილის განმარტებით, წინა არჩევნებში ოპოზიციამ რვა ოლქში მხოლოდ იმის გამო წააგო, რომ საერთო კანდიდატები არ ჰყავდა. გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატებს ხელი შეუშალეს რესპუბლიკელების და ლეიბორისტების კანდიდატებმა, - დასძენს დავითაშვილი, - საბოლოო ჯამში კი ამან სახელისუფლებო კანდიდატებს მოუტანა გამარჯვება.

რამდენად შეძლებს ოპოზიცია მომავალში სრულ კოორდინირებას და თუნდაც პრეზიდენტობის საერთო კანდიდატის წარდგენას? როგორც კობა დავითაშვილმა 24 საათს განუცხადა, ამგვარი რამ საკმაოდ რეალურია: **თუ წინა არჩევნებზე, ორი პოლიტიკური ძალის გარდა, საერთო ენის გამოძებნა მოახერხეს ეროვნულ საბჭოში შემავალმა პოლიტიკურმა ძალებმა, სავსებით შესაძლებელია, მომავალში სრულ თანხმობას მივაღწიოთ.**

დავითაშვილის განმარტებით, ოპოზიციას შეუძლია ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით პრაიმერის ხარჯები დაფაროს. **წინა არჩევნებისას თითო ოლქში წინასწარი გამოკითხვის ჩატარება 3 ათას ლარამდე დაჯდა. სულ 70 ოლქი გვაქვს. ჩემი აზრით, ის დაფინანსება, რომელიც ბიუჯეტიდან გვეძლევა, ამ ხარჯებს დაფარავს,** - დასძინა დავითაშვილმა ჩვენთან საუბრისას.

დავითაშვილის ინიციატივასთან დაკავშირებით ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ დღეისთვის ამ თემაზე საუბარი ნაადრევია. **კარგია, თუ ოპოზიცია ერთ კანდიდატზე შეჯერდება. უფრო კონკრეტულის თქმა ამ ეტაპზე ნაადრევად მიმაჩნია,** - განუცხადა 24 საათს რესპუბლიკელმა დავით ბერძენიშვილმა.

რესპუბლიკელ დავით ზურაბიშვილს ამ ეტაპზე უძნელდება ისეთი პიროვნების გამოყოფა, რომელიც პრეზიდენტობის ოპოზიციონერ კანდიდატებს შორის ყველაზე რეიტინგული იქნება. **მე ვფიქრობ, ახლა მთავარია, მივაღწიოთ იმას, რომ სააკაშვილი გადადგეს. ამის შემდეგ ოპოზიციას კანდიდატების გამოძებნა არ გაუჭირდება,** - დასძინა ზურაბიშვილმა ჩვენთან საუბრისას.

საკუთარი ინფორმაცია

საქართველოს საჰაერო სივრცე კვლავ დაირღვა

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ზონაში, ე.წ. სასაზღვრო სივრცეში რუსული ვერტმფრენები კვლავ გამოჩნდნენ. თუმცა, რუსულ ავიაციას ქართული მხარის კონტროლირებად სივრცეში ღრმად შემოჭრა ამჯერად არ უცდია. გავრცელებული ინფორმაციით, რუსული შეიარაღებული ჯარების იმ ნაწილებში, რომლებიც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაშია დისლოცირებული, სისტემატური როტაცია მიმდინარეობს. თითქმის ყოველ კვირა ხდება პირადი შემადგენლობების შეცვლა და აქედან გამომდინარე, ე.წ. სასაზღვრო ტერიტორიაზე სისტემატური კონტროლი მიმდინარეობს. რუსული ვერტმფრენები სასაზღვრო პერიმეტრს თითქმის ყოველდღიურად, ძირითადად, საღამოს საათებში განსაკუთრებული სიმკაცრით აკონტროლებენ. **ინტერპრესნიუსი**

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ნოდარ ლადარია

26 იანვრის ნომერში **გია ნოდიამ** სტატია გამოაქვეყნა - *სეკულარიზაციის ვნებები*. ეს, ასე ვთქვათ, ბოლო მაშხალა იყო ინტელექტუალური ფეიერვერკისა, რომელიც „24 საათში“ იმის წინა კვირას გაიმართა: **დავით დარჩიაშვილი, გიგა ზედანია, გიგი თევზაძე**... ბოლოს კი გია ნოდია. თვით ტექსტიდანაც ჩანს, რომ მას სწორედ რომ დასკვნითი სიტყვის თქმა სურდა.

ჯერ ვნახოთ, როგორ არის აგებული სტატია:

1. **ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის პრობლემა** მტკივნეულია საქართველოში ისევე, როგორც განვითარებული დემოკრატიის მქონე მრავალ ქვეყანაში.

ეს პირველი პოსტულატი მართლაც რომ პოსტულატია და არა რაიმე დაკვირვების შედეგი, რადგან ზედსართავი სახელი „მტკივნეული“ მხოლოდ მეტაფორაა და მეტი არაფერი. ამას ავტორიც გრძნობს და ამბობს შემდეგს: „**ჩვენ ამ უკანასკნელთაგან განგვასხვავებს ის, რომ ამ თემაზე საჯაროდ თითქმის არ ვდავობთ**“. ესე იგი, სადავო საგანთა შინაარსით არ განვსხვავდებით. საინტერესოა. მაგრამ შემდეგ პუნქტში ტექსტი სწორედ ამ ასპექტის განხილვას იწყებს.

2. **კონტრასტი თემის მნიშვნელობასა და საბაბის სიმჩატეს შორის**. მართლაც, „საქართველოს დიდი ათეულის“ მიმართ საპატრიარქოს მიერ წაყენებული პრეტენზიების შინაარსი, ცოტა არ იყოს, სასაცილოა. და გონიერი ადამიანის მიერ ვერ მიიჩნევა პრობლემის არსის გამომხატველად. ვეთანხმებით და დუმილით ვუვლით გვერდს დისკუსიის კონკრეტულ შინაარსს: უკვე საკმარისი ითქვა.

აი ამის შემდეგ, ანუ სწორედ მაშინ, როცა ავტორი პრობლემის არსებით ჩამოყალიბებაზე გადადის, ტექსტი ერთობ ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივი ხდება.

3. **ეკლესიის თვითშეგნება**. მეეჭვება, რომ ზოგადობის იმ დონისათვის, რომლითაც ავტორი იწყებს საკითხის გადმოცემას, ტერმინი „ეკლესია“ ადეკვატური იყოს. მაგრამ ამაზე კამათი ზედმეტად აკადემიური იქნებოდა და ძალიან შორს წაგვიყვანდა. დავკმაყოფილდეთ იმით, რომ ყველას შეუძლია ემოციურად თუ ინტუიციურად განასხვავოს ერთმანეთისაგან ცხოვრების საკრალური და პროფანული ასპექტები. მაგრამ განხილვის ამ დონეზეც კი ტექსტში გამოთქმული აზრები ერთობ უცნაურად მოგვეჩვენება: „**ის, რომ ეკლესიას უნდა, ერმა ყველაზე მეტად მას დაუჯეროს, სრულიად ბუნებრივია. საპირისპირო ვითარება იქნებოდა პათოლოგია**“. აქ ორი კითხვა ჩნდება. პირველი, ასე ვთქვათ, ტერმინოლოგიურია: რას ნიშნავს დაუჯეროს? საკუთრივ რაში დაუჯეროს? მეორე შეკითხვა კი ბევრად უფრო მძიმეა: ნუთუ ვითარება, როცა ეკლესია არ ისწრაფვის საერო ძალაუფლებისაკენ, პათოლოგიას წარმოადგენს? - როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში ეკლესია წმინდანებად სწორედ მათ აღიარებს, ვინც ამგვარი პათოლოგიის სახელით უპირისპირდებოდა საეკლესიო მთავრობას, და სწორედ მათ კიცხავს, ვინც საერო ძალაუფლების მოპოვებასა და ჩანაცვლებას ესწრაფოდა.

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ეკლესია თავისი არსით საერო ხელისუფლების ჩასანაცვლებლად არის მოწოდებული. ყველა, ვინც საეკლესიო კულტურას გულის სიღრმეში ატარებს, ძალიან კარგად გრძნობს ამ კულტურის გამოყენების საზღვრებს. ეს ყველა დონეზე

გამოიხატება და არავის არ აკვირვებს, როცა პუშკინის დრამაში ბრძენი პიმენი ასე მიმართავს ბორის გოდუნოვს: „**მდაბალი ბერი, საერო საქმეებში არცთუ გონიერი მსაჯული, დღეს შენ წინაშე ხმის ამოღებას ბედავს**“. ეს სიტყვები შეგვიძლია მივიჩნიოთ ეკლესიასა და საერო ხელისუფლებას შორის ურთიერთობის მოდელად, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო, ასე ვთქვათ, მდგრადი წონასწორობის წერტილი.

პოზიციას, რომელიც გია ნოდიას უჭირავს საკითხის განხილვისას, ასევე თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ანტიისტორიული. ოდნავ ქვემოთ ეს კიდევ უფრო აშკარად ჩანს: „**ის, რომ ეკლესიას დღეს აღარ უკავია ის ცენტრალური ადგილი საზოგადოებაში, რაც შუა საუკუნეებში ჰქონდა, არ ყოფილა მისი არჩევანი ან შიდა ევოლუციის შედეგი: მისი გავლენა შესუსტდა, რადგან საზოგადოება და პოლიტიკური სისტემა შეიცვალა, ხოლო ეკლესიას ამ ცვლილებებთან შეგუება მოუხდა**“. გასაოცარი მაგალითია: არც ერთი ტერმინი არაა გამოყენებული სწორად! არც ერთი პროცესი არაა აღწერილი ან დახასიათებული ადეკვატურად!

რას ნიშნავს, მაგალითად, „**ცენტრალური ადგილი საზოგადოებაში**“? - შუა საუკუნეები სწორედ იმით გამოირჩევა, რომ ცენტრის მოძებნაა რთული. რას ნიშნავს „**არჩევანი**“ ან „**შიდა ევოლუცია**“? ერთიც და მეორეც, განსაზღვრის თანახმად, სწორედ რომ გარემო პირობების შეცვლაზე პიროვნების ან ორგანიზმის რეაქციას წარმოადგენს. მაგრამ ესეც არ არის მთავარი: სწორედ განვითარებული დემოკრატიის ქვეყნები არის იმის ყველაზე ნათელი მაგალითი, რომ, ერთი მხრივ, ეკლესია საზოგადოებისა და პოლიტიკური სისტემის ცვლილების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა იყო, მეორე მხრივ კი ეს ცვლილებები ძალიან ძნელად თუ დახასიათდება როგორც ეკლესიის გავლენის ცალსახა „შესუსტება“. უბრალოდ, გავლენის განხორციელების გზები შეიცვალა.

მიზეზი, თუ რის გამო ვარდება ავტორი ამ შეცდომაში, თავისთავად, ძალიან მნიშვნელოვანია. ერთი მხრივ, პოლიტიკის სფერო აქ საზოგადოებრივი გავლენის რეალიზაციისა და გავრცელების ერთადერთ ასპარეზადაა მიჩნეული. სხვა სიტყვებით, თუ აშკარად ვერ უგულებელყოფ კანონს ან პირდაპირ ვერ იმორჩილებ სახელმწიფო ინსტიტუტებსა და გადაწყვეტილების მიღების უნარით აღჭურვილ კონკრეტულ პიროვნებებს, გამოდის, რომ არც გავლენა გაქვს. მეორე მხრივ, აქ საზოგადოებისა და ეკლესიის ორგანული კავშირია უარყოფილი, უგულებელყოფილია ის, რომ ხშირად სწორედ ეკლესიიდან მოდიოდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცვლილებების ინიციატივა.

მართლაც, რა ვუყოთ XVII და XVIII საუკუნის ფრანგი სამღვდელოების იმ წარმომადგენლებს, რომლებიც აღიარებდნენ, რომ აბსოლუტიზმის მიერ მოცემული საეკლესიო პრივილეგიები და კანონისაგან იმუნიტეტი კი არ აძლიერებს, არამედ ასუსტებს ეკლესიას?

მაგრამ ავტორი ამ სიღრმეებში არ შედის და სწორედ აქედან გამომდინარეობს არნახული დასკვნა: „**ნებისმიერ ქვეყანაში ეკლესია ყოველთვის შეეცდება, გააფართოვოს თავისი გავლენა და ისე შორს წავა, როგორც შეძლებს**“. უჰ, კიდევ კარგი, აკავებენ, თორემ ერთ მშვენიერ დღეს ჯაჭვი რომ გადაღრღნას, რა გვეშველება?!

ავტორის, ასე ვთქვათ, განყენებული და მეტაფიზიკური მიდგომა იმაშიც იჩენს თავს, რომ ის ვერ ამჩნევს კონკრეტულ ვითარებას: ის მდგომარეობა, რომლის მოწმენი დღეს ვართ საქართველოში, საერთოდ არ გვაძლევს უფლებას ზოგადობის ამ დონეზე გამოვიყენოთ ტერმინი „ეკლესია“, რადგან საქმე საერთოდ არ ეხება ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის სოციალურ-პოლიტიკურ პროცესს. ამას აუცილებლად დავუბრუნდებით, ახლა კი ვნახოთ, რას ამბობს გია ნოდია დისკუსიის მეორე მხარეს მყოფებზე.

ჯერ ერთი ეს „მეორე მხარე“ მისთვის რატომღაც მხოლოდ ლიბერალური ინტელექტუალები არიან, რომელთაც იგი „**მწუხარე სეკულარისტებად**“ მოიხსენიებს. სტატიაში ვკითხულობთ: „**ესე იგი, რაში გამოვიდა პრობლემის ძირი? ის იმ ხალხშია, რომელსაც არ მოსწონს ეკლესიისა და სახელმწიფოს, ან ეკლესიისა და პოლიტიკური კლასის დღევანდელი ურთიერთობის წესი... აქტიურია მხოლოდ ფუნდამენტალისტ ლიბერალთა მცირე ჯგუფი, რომელთა შორის განსაკუთრებით ბევრია გულაცრუებული სემინარისტი**“. აქაც ძალიან საგულისხმო ლექსიკაა: „**არ მოსწონს**“ გემოვნების საკითხია, ბატონებო, ზოგს მოსწონს, ზოგსაც არა! ეკლესია თურმე ბუნებრივად იქცევა, როცა კანონს უგულებელყოფს (ეს ნუ იტყვით და მის საფუძველში ძევს), ლიბერალები კი, რომელთაც ეს „არ მოსწონთ“, ფუნდამენტალისტები არიან. თანაც ამ ფუნდამენტალიზმს ერთობ მდაბალი, პირადული მიზეზი აქვს: გულაცრუებული სემინარისტები არიან. ნეტა რაზე აიცრუეს გული? ყველამ გავიგონეთ, რა თქვა პირდაპირ ეთერში ერთ-ერთმა მათგანმა, **ბექა მინდიაშვილმა**: ვერაფერს მასწავლიდნენო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გია ნოდიას სტატიაში იგივე ზედაპირული მიდგომა ვლინდება, რაც ლაშა ბუღაძის სვეტში, რომელიც 30 იანვარს გამოქვეყნდა. აქ შედარებულია „**უცნობი“ გაჩეჩილაძისა** და **მიხეილ სააკაშვილის** ტელეგამოსვლები და გამოვლენილია ამ ორ ფენომენს შორის ხილული ანალოგიები. მსგავსება მართლაც თვალშისაცემია, მაგრამ განხილვის მხოლოდ ზედაპირულ დონეზე. შედარება ძალიან ფაქიზი რამაა: გენიალური ტილოს ორიგინალი იმაზე ბევრად ნაკლებ შთაბეჭდილებას მოახდენს ბრმა და გულგრილ ადამიანზე, ვიდრე მხედველმა და მგრძნობიარემ შეიძლება მიიღოს ასლისაგან. ასეა, მაგრამ ეს გარემოება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს ორიგინალისა და ასლის ფასებზე.

ფუნდამენტალიზმიც ყოველთვის არ ემთხვევა რადიკალიზმსა და შეუპოვრობას. ეს უკანასკნელი ხშირად მორალურ სიცხადესთან და პასუხისმგებლობასთანაა დაკავშირებული. ლიბერალური ფუნდამენტალიზმი უფრო მეტად სწორედ იმაში იჩენს თავს, როცა ნებისმიერი დისკუსიის განსჯას ყბადაღებული „ბალანსის“ კრიტერიუმებით ვიწყებთ და ვცდილობთ ფორმალური მოთხოვნების სიბრტყეს მივაჭყლიტოთ მოცულობითი და მრავალმხრივი სინამდვილე.

პრობლემის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ აქ საქმე არ ეხება ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას. აქ ეკლესია, როგორც ასეთი, საერთოდ არ მოქმედებს. აქ ვლინდება დესტრუქციული ძალა, რომლისგანაც სახელმწიფომ, სამოქალაქო საზოგადოებამ და ეკლესიამაც ერთნაირად უნდა დაიცვას თავი.

ეს ძალა ერთობ მოურიდებლად და აშკარად ვლინდება. და თუმცა ქვემოთ მოყვანილ მაგალითებს, თავისთავად, დამამტკიცებელი ძალა არა აქვს, ისინი მაინც გვიჩვენებს, თუ რაზე უნდა დაიწყოს დღეს მსჯელობა საზოგადოებამ და რა გამოიყენოს ამ მსჯელობაში სამხილად.

ქვემოთ მოყვანილი ციტატების წყარო შემდეგია: „ქვაკუთხედი“ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ჟურნალი N8 (27), სექტემბერი, 2008. გამოდის რუის-ურბნისის მიტროპოლიტის, იობის ლოცვა-კურთხევით, გამომცემლობა „აცხოვნე სული შენი“.

აქ, რედაქტორის სვეტში, მე-4 და მე-5 გვერდებზე ვკითხულობთ: „**უფალმა არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვა საქართველოს ზედმეტი დაახლოება დასავლეთის ქვეყნებთან, მაგრამ აკურთხა მისი რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? იქნებ ის, რომ მთელი თავისი ამბიციურობის მიუხედავად, რუსეთი მაინც თავისი მადლის მატარებელი მართლმადიდებელი ქვეყანაა, რომელსაც ზურგს უმაგრებს წმინდანთა ზეციური ლოცვა-კურთხევა?! ... სულ მაინტერესებდა, ახლა კი დაუშვებდა ღვთის განგებულება დასავლეთთან უმჭიდროვეს ინტეგრაციას?! იქნებ საქართველოში აქა-იქ აღმოცენებული რუსული ბლოკ-პოსტები სწორედ ის მარწუხებია, რომელნიც ზეციდან დაეშვა დაუძლეველ ბარიკადებად ამ ინტეგრაციის გზაზე?**“

როგორც ვხედავთ, რუსული ბლოკ-პოსტები (რა ტკბილი და ალერსიანია ეს „აქა-იქ აღმოცენებული“ ნამდვილი ყვავილები, ჭრელი, ათასფერადი) ზეციური მადლით არის მოსილი.

შემდეგ: „**რუსეთს როგორც ლანძღავდა ჩვენი ხელისუფლება და მისი ქვეშევრდომი მედია, ამის მეასედი რომ აშშ ეკრიტიკებინათ, მიწის პირისაგან აღგვილი ვიქნებოდით ალბათ უკვე... მსოფლიო ბედისათვის უმნიშვნელოვანესია ძლიერი რუსეთი როგორც გლობალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორი**“.

ვაჰ, ჩვენ კი ვიღაც ხუბუტიას ლანძღვას ვუნდებით დღე და ღამე!

და კიდევ: „**იქნებ რუსეთის ყუმბარები, როგორც გარყვნილ სოდომ-გომორზე ცეცხლი და წუნწუბა, ისე აწვიმა უფალმა საქართველოში ამ ბოლო დროს გამეფებულ ლიბერალურ-დემოკრატიულ ჯეობარულ სულსა და „ბუჩქების“ იდეოლოგიას?!**“.

აი, ხედავთ, ბატონებო: თურმე ჩვენი ეკლესია მიტროპოლიტის ლოცვა კურთხევითა და განათლებულ თეოლოგთა კონსულტაციებით იმ ღმერთს ქადაგებს, რომელმაც „ყვავასა“ და „მულატკას“ ოინბაზობას, ასეულობით ბავშვის მიერ ლაღად გატარებულ ზაფხულს „ისკანდერებითა“ და კასეტური ბომბებით უპასუხა, ხოლო სრულიად რუსეთის წმინდანები მესამე რომის მთავრობისა და მხედრობის გამარჯვებისთვის მეოხნი იყვნენ!

ცხოვრება არ არის განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების სკოლა, სადაც სახენათელი სათვალიანი მასწავლებელი რიგრიგობით წევს მაღლა ფერად სურათებს „აბა, ბავშვებო, ვინ ახატია აქ?“ და ბავშვებიც ერთხმად და დამარცვლით უპასუხებენ: „მღვდელი“... „ლი-ბე-რა-ლი“. ცხოვრება ბევრად უფრო რთულია და საინტერესო. ეს ბობოქარი და მოულოდნელობებით აღსავსე ნაკადია, რომელშიც ერთი „ბურთივით მრგვალი“ ლიბერალი უკვე შემოსა ეკლესიამ წმინდანის შარავანდედით, და სადაც აუცილებლად დგება წამი, როცა მღვდელი უნდა ჩაეჭიდოს დასახმარებლად გამოწვდილ ლიბერალის ხელს.

მედვედევმა საქართველო აგრესიაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა

ბულგარეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა საქართველო აგრესიაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ მას არ უნდოდა რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე თავისი საქმიანობა ჯარების გამოყენებით დაეწყო, მაგრამ იძულებული გახდა, ასეთი ნაბიჯი გადაედგა.

„ვგულისხმობ იმ აგრესიას, რომელიც საქართველომ განახორციელა თავისი ტერიტორიის ყოფილ ორ პატარა ნაწილთან მიმართებაში," - აღნიშნა მედვედევმა.

რუსეთის პრეზიდენტის თქმით, პრეზიდენტობის პერიოდში მან ის ისწავლა, რომ „შეუძლებელია, ამა თუ იმ სიტუაციაში გამოირიცხოს მოვლენების დრამატული განვითარება". **მედიანიუსი**

ახალი სამინისტროები ცნობილია, მინისტრები - არა

1 თებერვლიდან საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ორი ახალი სამინისტრო ამოქმედდა. ახალი უწყებების - სასჯელაღსრულების, პენიტენციალურ საქმეთა და იურიდიული დახმარების სამინისტროსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შექმნის შესახებ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები გასული წლის ბოლოს მიიღეს.

არაოფიციალური ინფორმაციით, სასჯელაღსრულების, პენიტენციალურ საქმეთა და იურიდიული დახმარების მინისტრის პოსტზე სავარაუდო კანდიდატებად განიხილებიან ნიკა გვარამია და ეკა ზღულაძე, ხოლო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად - დავით ტყეშელაშვილი.

ამასთან, არსებული ინფორმაციით, ფინანსთა მინისტრის თანამდებობას კახა ბაინდურაშვილი დაიკავებს.

პარლამენტს მთავრობის შემადგენლობა დასამტკიცებლად, მაქსიმუმ, ორი კვირის განმავლობაში წარედგინება. **ინტერპრესნიუსი**

ოკუპანტებისა და მათი მარიონეტების გეგმები

მოსკოვი და სოხუმი უახლოეს მომავალში „სახელმწიფო საზღვის დაცვისა" და სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებას გეგმავენ.

ამის თაობაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „აპსნისთან" ინტერვიუში განაცხადა. „ამჟამად სხვადასხვა ხარისხის, დაახლოებით, 20 შეთანხმებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადება მიმდინარეობს. მათ შორის მთავარი, ჩვენი ხედვით, არის ის, რომელიც აფხაზეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანას დაჩქარებული ტემპებით გადაწყვეტს," - აღნიშნა ლავროვმა.

ამასთან, მისივე განმარტებით, აფხაზეთის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში იგი გულისხმობს „ყველაზე მეტად სამხედრო სფეროში თანამშრომლობისა და ერთობლივი ძალებით აფხაზეთის სახელმწიფო საზღვის დაცვის საკითხებს".

„ვვარდაუდობთ, რომ უახლოეს მომავალში ამ დოკუმენტებზე ხელის მოწერას მივაღწევთ," - დასძენს ლავროვი. **პირველი**

ეროვნული კრების საკოორდინაციო საბჭო დიდ ფორუმს ამზადებს

9 თებერვალს ეროვნული კრების საკოორდინაციო საბჭო შეხვედრას გამართავს. სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" დაგეგმილ შეკრებაზე საბჭო ეროვნული კრების გეგმებს გაახმაურებს.

როგორც კრების საინიციატივო ჯგუფის წევრი გუგული მაღრაძე აღნიშნავს, შეხვედრაზე განიხილება ეროვნული კრების ორგანიზების საკითხები. მისი თქმით, ეროვნული კრების არჩევნები თებერვალსა და მარტის თვეებში ჩატარდება.

"მარტის ბოლოს, როგორც დაგეგმილია, კრება არჩეული უნდა იყოს საქართველოს მასშტაბით. სულ 3400 საარჩევნო უბანია. ამ უბნების ოლქებიდან, დაახლოებით, 8-10 ათასი კაცი აირჩევა. თითოეული მათგანის უკან იქნება ის საზოგადოება, ვინც ამ ადამიანებს აირჩევს. ჩვენი ვარაუდით, ეროვნულ კრებაში ქართული ელექტრორატის ორი მესამედი იქნება ჩართული," - აცხადებს გუგული მაღრაძე.

ეროვნულ კრებას მისი საკოორდინაციო საბჭოს 20-მდე წევრი გაუწევს ხელმძღვანელობას. კრებას ეყოლება რეგიონული კოორდინატორებიც.

ეროვნული კრების მიზანია, შეიმუშაოს რეკომენდაციები და წინადადებები ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე. **მედიანიუსი**

საქართველოს ბუნებრივი აირის ბაზრის თავისებურებანი

პირველი გვერდიდან

სწორედ ამ არგუმენტების გამოყენება რუსეთმა მალევე სცადა - იმავე წლის შემოდგომაზე, როცა საქართველოსთვის ახალი, ევროპული ტარიფის დადგენა მოისურვა.

დღეისთვის ქვეყნის გაზმომარაგების სისტემა სამი წლის წინანდელისგან საკმაოდ განსხვავდება.

დღეს საქართველოში ბუნებრივი აირის შემოტანა სამი ძირითადი მაგისტრალით არის შესაძლებელი:

ჩრდილო-სამხრეთის მაგისტრალი, რომლითაც საქართველოში რუსული ბუნებრივი აირის შემოტანა შეიძლება. ამავე მაგისტრალის გამოყენებით მიეწოდება დღეს ბუნებრივი აირი სომხეთს. შეგახსენებთ, რომ, ამ ტრანზიტის საფასურის სახით, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას ტრანსპორტირებული ბუნებრივი აირის 10 პროცენტი რჩება. სახელმწიფო უწყებებში აცხადებენ, რომ დღეისთვის სახელმწიფო კომპანია რუსულ გაზს მხოლოდ ამ ფორმით იღებს.

მეორე გახლავთ სამხრეთ-კავკასიური მაგისტრალი (იგივე შაჰდენიზი). ამ პროექტის საწყის ეტაპზე დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, რომელიც დღესაც მოქმედებს, საქართველოს სახელმწიფოს ბუნებრივი აირის ტრანზიტისთვის მისი მოცულობის 5 პროცენტი უფასოდ რჩება, კიდევ 300 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი კი შეუძლია შეღავათიან ფასად ანუ 63 აშშ დოლარად იყიდოს (მნიშვნელოვანია, რომ 2010-2011 წლებში შეღავათიანი ტარიფით შესასყიდი ბუნებრივი აირის კვოტა 500 მილიონ კუბურ მეტრამდე გაიზრდება).

მესამე კი არის ე.წ. ყარადაღი-საგურამოს გაზსადენი, რომელიც ჯერ კიდევ სსრკ-ს

დროს აკავშირებდა ერთმანეთს აზერბაიჯანისა და საქართველოს ბუნებრივი აირის სისტემებს, თუმცა მისი აღდგენა სწორედ ზემოთ ნახსენები ფაქტის (2006 წლის 21 იანვრის) შემდეგ გადაწყდა. დღეისთვის ამ გაზსადენით საქართველოში აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის „სოკარის" ბუნებრივი აირი შემოდის. ამ წყაროს მასშტაბზე წარმოდგენას ერთი ციფრიც შექმნის - აზერბაიჯანული წყაროების ცნობით, 2008 წლის აპრილიდან ამავე წლის ოქტომბრამდე ამ გაზსადენის მეშვეობით საქართველოში 515 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირია შემოსული. შეგახსენებთ, რომ 2008 წლის მიწურულს საქართველოს ხელისუფლებამ სწორედ კომპანია „სოკართან" გააფორმა ხუთწლიანი კონტრაქტი, რაც, ხელისუფლების მტკიცებით, ამ პერიოდში ბუნებრივი აირის ფასის შენარჩუნებისა და სტაბილური ენერგომომარაგების საფუძვლად უნდა იქცეს.

საინტერესოა, რომ ამ გადაწყვეტილების პარალელურად გაიზარდა კომპანია „სოკარის" ყოფნის მასშტაბი საქართველოში. 2008 წლის მიწურულს კომპანიას გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი გაზგამანაწილებელი ქსელის დიდი ნაწილი - 29 გაზგამანაწილებელი რეგიონული კომპანია.

სადისტრიბუციო ბაზარზე კიდევ ერთი მსხვილი მოთამაშეა „ყაზტრანსგაზ თბილისი", რომელსაც საკუთრებაში აქვს თბილისის გაზგამანაწილებელი ქსელი. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს საკმაოდ აქტიურად მიდის საუბრები იმის შესახებ, რომ ყაზახი ინვესტორები ბარგს ალაგებენ და ამ კომპანიაში შესასვლელადაც აზერბაიჯანული „სოკარი" ემზადება, თუმცა ამ ინფორმაციას ოფიციალურად ჯერჯერობით არც ერთი მხარე არ ადასტურებს. ცხადია, რომ, თუ ეს გარიგება შედგა, „სოკარი" საქართველოს გაზგამანაწილებელი ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მოთამაშე ხდება.

ქართულ ბაზარზე მოღვაწეობს რუსული „იტერაც", რომელსაც საკუთრებაში აქვს 9 რეგიონული გაზგამანაწილებელი ქსელი, იგი ასევე ემსახურება ბუნებრივი აირის მსხვილ მომხმარებლებსაც.

ცემენტის ქარხნები, პურის ქარხნები, გაზგამანაწილებელი სადგურები, სხვა მსხვილი და საშუალო მასშტაბის მომხმარებელი ჰყავს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას, რომელიც კერძო სტრუქტურაა და ამ ბაზარზე ჩვეულებრივი კომერციის წესებით თამაშობს.

მნიშვნელოვანია, რომ სადისტრიბუციო კომპანიების დიდ ნაწილი დღეისთვის ბუნებრივ აირს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისგან ყიდულობს. მას შემდეგ, რაც ენერგორეფორმის ფარგლებში ბუნებრივი აირის მიწოდების ფასის დერეგულაცია მოხდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა სახელმწიფო კორპორაციის მიერ მიწოდებული ე.წ. „სოციალური გაზის" არსებობა, რომელმაც ტარიფის ზრდა უნდა შეაჩეროს და რომლის ყიდვის საშუალებაც იმ გაზგამანაწილებელ კომპანიებს აქვთ, რომლებიც, ძირითადად, მოსახლეობას ემსახურებიან. სოციალური ბუნებრივი აირის ფასი დღეისთვის 167 აშშ დოლარია. ეს გაზი შედგება რუსული ტრანზიტის 10 პროცენტის, შაჰდენიზის უფასო და იაფი ბუნებრივი აირისა და ნაწილობრივ „სოკარისგან" ზემოთ უკვე ნახსენები ხუთწლიანი ხელშეკრულების საფუძველზე ნაყიდი ბუნებრივი აირით. როგორც ნავთობისა და გაზის კორპორაციაში „24 საათს" განუცხადეს, 2008 წლისთვის ამ გაზის ოდენობამ, დაახლოებით, ერთი მილიარდ 50 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა. ჯამში კი საქართველომ გასულ წელს, დაახლოებით, 1,5 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მოიხმარა, რაც 2007 წლის მაჩვენებელზე, დაახლოებით, 200 მილიონი კუბური მეტრით ნაკლებია.

„24 საათი" დაინტერესდა, გარდა სოციალური გაზისა, რომელი კომპანიების მიერ მოწოდებულ ბუნებრივ აირს მოიხმარენ საქართველოში სადისტრიბუციო კომპანიები ან ისინი, ვინც გარდაბნის გრეს-ის მეცხრე ბლოკის გაზით მომარაგებას უზრუნველყოფენ.

კომპანია „იტერა საქართველოს" წარმომადგენელმა დავით ბერაძემ „24 საათს" განუცხადა, რომ „იტერა საქართველო" კომერციულ გაზს ნაწილობრივ „სოკარისგან", ნაწილოებრივ კი თავად „იტერასგან" ყიდულობს და ტრანსპორტირებასაც, შესაბამისად, ჩრდილოეთიდან ანუ რუსეთიდან ახდენს. როგორია ამ ბუნებრივი აირის მოცულობების შეფარდება, კომპანიაში არ დაუკონკრეტებიათ, თუმცა ამბობენ, რომ ეს დამოკიდებულია კონკრეტულ მოთხოვნაზე. კომპანიაში ასევე აცხადებენ, რომ მათ ხუთწლიანი კონტრაქტები აქვთ გაფორმებული, თუმცა ყოველწლიურად ხდება ფასების გადახედვა და ჯერჯერობით ძნელია დაზუსტებით იმის თქმა, თუ რა თანხის გადახდა მოუწევთ ბუნებრივ აირში უახლოეს პერიოდში.

საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის გენერალურ დირექტორ ნათია თურნავას ინფორმაციით, კომპანია დღეისთვის ბუნებრივ აირს კომპანია „სოკარისგან" ყიდულობს. გასულ წელს კორპორაცია ასევე ყიდულობდა „გაზპრომის" გაზსაც, თუმცა იმის გამო, რომ „სოკარის" გაზი დღეისთვის „გაზპრომისაზე" 5 დოლარით იაფია (შესაბამისად - 275 აშშ დოლარი და 280 აშშ დოლარი), ამჯერად არჩევანი „სოკარზე" შეჩერდა. ნათია თურნავას განცხადებით, მათი კონტაქტები, როგორც წესი, ერთწლიანია, თუმცა განაცხადების წარდგენა მოწოდების მასშტაბებთან დაკავშირებით ყოველთვიურად ხდება.

ბუნებრივი აირის ერთ-ერთი მსხვილი მომხმარებელია გარდაბნის გრეს-იც, სადაც ცნობილ მეცხრე ბლოკს კომპანია „მტკვარი ენერგეტიკა" ამუშავებს. კომპანიის ხელმძღვანელ დევი კანდელაკის ინფორმაციით, ბუნებრივ აირს „სოკარისგან" ყიდულობს, შარშან კი ბუნებრივ აირს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისგან ყიდულობდა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოს სოციალურად მგრძნობიარე სექტორი - როგორც ბუნებრივი აირის, ისე ელექტროენერგიის - დღეისთვის რუსეთზე დამოკიდებული, პრაქტიკულად, აღარ არის. ექსპერტ თემურ გოჩიტაშვილის მოსაზრებით, მთავარი სწორედ ამ ტიპის დამოუკიდებლობის მიღწევაა. ბოლო, თუ ზოგიერთ კომპანიას სურს, რომ ბუნებრივი აირი კომერციული მიზნებით რუსეთიდან იყიდოს, ეს არც პრობლემას წარმოადგენს და ბუნებრივი აირის წყაროების დივერსიფიკაციის კონტექსტშიც ჯდება.

ენერგოდამოუკიდებლობისკენ გადასადგმელი ნაბიჯებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა საქართველოში გაზსაცავის მშენებლობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. გაზსაცავის არსებობის მნიშვნელობა კარგად გამოჩნდა სწორედ ამ დღეებში, უკრაინა-რუსეთის გაზის ომის დროს, როცა უკრაინამ რუსული აგრესიის „თბილად" (გაზსაცავების აირის მოხმარებით) გადატანა შეძლო. უკრაინისგან განსხვავებით, საქართველოს ასეთი გაზსაცავები საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით არ რგებია, მის მშენებლობაზე აქტიური საუბრები კი ბოლო წლებში დაიწყო. როგორც ცნობილია, ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის კომპონენტებს გასულ წელს ახალი - გაზსაცავის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის კომპონენტი დაემატა.

ემ-სი-ჯი-ს ინფორმაციით, ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის საკითხის შესწავლის პირველი ეტაპის სამუშაოები. საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე შერჩეულ ამერიკულ კომპანია - გუსტავსონ ასოშიეტს"-ის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს გაზსაცავის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ტექნიკური დავალების, გაზსაცავის განვითარების დეტალური პროგრამისა და სამოქმედო გეგმის მომზადებაზე. წინასწარი ინფორმაციით, სწორედ მიმდინარე თვეში საქართველოს ენერგოსექტორის მესვეურთ უნდა წარედგინოთ კვლევის შედეგები იმის შესახებ, თუ სამი შესაძლო ვარიანტიდან (ნინოწმინდა, რუსთავი, გარდაბანი) სად და რა მოცულობის გაზსაცავის მშენებლობაა მიზანშეწონილი. ემ-სი-ჯი-ს ინფორმაციით, აღნიშნული კვლევებისა და შესწავლის საფუძველზე, 2009 წლის დასაწყისიდან მოხდება გაზსაცავის პროექტის განვითარების მომავალი ეტაპების განხორციელება. ხელისუფლების დაპირების თანახმად კი, გაზსაცავის მშენებლობა 2012 წლითვის უნდა დასრულდეს.

ყველაფერი ზემოთქმული ცხადყოფს, რომ საქართველომ ამ ეტაპზე ქვეყნის გაზმომარაგების დივერსიფიცირება მოახერხა და ბაზარზე კონკურენციის გაჩენასაც დაუდო საფუძველი. ცხადია, ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის ენერგოდერეფნის შესაძლო გაფართოების პერსპექტივა, რაზეც საქართველო-აშშ-ს შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტშიც არის საუბარი. რადგან, რეალურად, დღეს საქართველო დამოუკიდებელია რუსული გაზპრომისგან, თუმცა საკმაოდ დამოკიდებულია აზერბაიჯანულ სახელმწიფო კომპანიაზე, რასაც საქართველოს ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში, პერსპექტივაში, დააბალანსებს. თავისთავად, ბუნებრივი აირის სექტორის გარდა, მნიშვნელოვანია ელექტროენერგეტიკული სექტორის მდგომარეობა და დამოუკიდებლობაც, რის შესახებაც ამ დღეებში საკმაოდ ბევრი რამ ითქვა. თუმცა ეს უკვე სხვა საუბრის საგანია.

დიდი ქაოსი საარბიტრაჟო სისტემაში

სოკოებივით მომრავლებული არბიტრაჟები - ფულის საკეთებელი "ცეხები"

თამარ კაკიტაძე

დღეს საქართველოში 3 ათასამდე კერძო არბიტრაჟია, რომლებიც ასობით საქმეს განიხილავენ. თუმცა, მათი პროფესიონალიზმი და ნდობის ხარისხი იმდენად დაბალია, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილებების უმრავლესობა სასამართლოში საჩივრდება. მოქმედი კანონმდებლობით, არბიტრაჟის დაარსება ნებისმიერ პირს შეუძლია და მათ კონტროლს არავინ ახორციელებს. არადა, ძლიერი არბიტრაჟის არსებობა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორიცაა.

საერთაშორისო არბიტრაჟს 100-120-წლიანი გამოცდილება აქვს.

განუხორციელებელი ინიციატივა

რამდენიმე წლის წინათ ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ახალი იდეა წამოაყენა და საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს შექმნის ინიციატივით გამოვიდა. მაშინ ქვეყნის პრეზიდენტმა დასავლური სტანდარტების ინსტიტუტის ჩამოყალიბების მიზნით, უცხოელი ექსპერტებისა და მოსამართლეების ჩამოყვანის პირობაც დადო. ახალი ინიციატივის მიზეზი, პრეზიდენტის თქმით, იყო ის, რომ კერძო არბიტრაჟი იმ ფორმით, რა ფორმითაც არსებობდა, სისულელე იყო.

"საქმე ისაა, რომ ბიზნესმენები თავად აკომპლექტებდნენ საარბიტრაჟო სასამართლოებს და შემდეგ, სახელმწიფოს წინაღმდეგ მათთვის სასურველ გადაწყვეტილებას ღებულობდნენ," – თქვა პრეზიდენტმა და არბიტაჟის შესახებ ახალი კანონპროექტის მომზადება მოითხოვა.

ექსპერტთა ერთი ნაწილიც მძლავრი საარბიტრაჟო ინსტიტუტის ჩამოყალიბებას ბიზნესის და, საერთოდ, ქვეყნის განვითარებისთვის წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევდა.

"ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში ბიზნესმენებსა და სახელმწიფოს შორის არსებული დავების ეფექტურად მოსაგვარებლად არბიტრაჟის ინსტიტუტი არსებობს. ძალზე პრესტიჟულია ლონდონის საარბიტრაჟო პალატა, სტოგჰოლმის არბიტრაჟი, პარიზის უსერიოზულესი ინსტიტუტი, რომლებიც საუკუნეებია ფუნქციონირებს და საკმაო წარმატებით. უნდა მოვიწვიოთ უცხოელი ექსპერტები, რომელთაც არბიტრაჟის 100-120-წლიანი გამოცდილება აქვთ და ქართველ სპეციალისტებთან ერთად უნდა შემუშავდეს სერიოზული კონცეფცია, რომლის საფუძველზეც, საქართველოშიც ჩამოყალიბდება უსერიოზულესი ინსტიტუტი. ჩვენ უნდა გავიზიაროთ ევროპის 100-120- წლოვანი გამოცდილება," – ირწმუნებოდნენ ქართველი სპეციალისტები, რომლებიც მოგვიანებით "არბიტრაჟის შესახებ" ახალი კანონპროექტის მომზადებაშიც მონაწილეობდნენ.

"არბიტრაჟის შესახებ" კანონის პროექტი იუსტიციის სამინისტრომ ამერიკის იურისტთა ასოციაციასა და საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის პროექტთან (GEGI) თანამშრომლობით მოამზადა. როგორც იუსტიციის სამინისტროში ირწმუნებიან, იგი შეესაბამება გაერო-ს საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მიერ მიღებულ სამოდელო კანონს "საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ", ასევე, "უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ" 1958 წლის 31 დეკემბრის ნიუ-იორკის კონვენციას, რომელის წევრი საქართველო 1994 წელს გახდა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტი ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა მოიწონეს და იგი საქართველოს პარლამენტმა ორი მოსმენით დაამტკიცა კიდეც, სამი წელია ამ კანონპროექტს მზის შუქი აღარ უნახავს.

ჯიბის არბიტრაჟი და ფულის საკეთებელი სამკუთხედი

დღევანდელი პარლამენტარები წინა მოწვევის დეპუტატების ქმედებაზე პასუხისმგებლობას არ იღებენ და ვერც იმას გვპასუხობენ, არის თუ არა დაგეგმილი მომავალში "არბიტრაჟის შესახებ" კანონპროექტის მესამე მოსმენა. თუმცა აღიარებენ, რომ ძლიერი არბიტრაჟის ინსტიტუტი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია.

სამაგიეროდ, როგორც იურისტი დიმიტრი გაბუნია ირწმუნება, ამასობაში, კერძო არბიტრაჟებმა, რომლებიც ბოლო პერიოდში სოკოებივით მომრავლდნენ, ფულის საკეთებელი "ცეხების" სახე მიიღეს.

არაოფიციალური ინფორმაციით, დღეს საქართველოში 3 ათასამდე კერძო არბიტრაჟია, რომლებიც ასობით საქმეს განიხილავენ. თუმცა, მათი ნდობის ხარისხი იმდენად დაბალია, რომ არბიტრაჟის გადაწყვეტილებების უმრავლესობა სასამართლოში საჩივრდება და უმეტეს შემთხვევაში, საკმაოდ დასაბუთებულად, მართლმსაჯულებას მათი საწინააღმდეგო გადაწყვეტილებები გამოაქვს.

"დღეს მოქმედი კანონმდებლობის დამსახურებით, საარბიტრაჟოების დაარსება ნებისმიერ პირს შეუძლია - არ არის აუცილებლი, იყო იურისტი, არც საწესდებო კაპიტალია საჭირო და ასე შემდეგ. ამიტომ, ამ სფეროში საოცარი ქაოსია. მიზეზი არის ის, რომ კონტროლის არანაირი ბერკეტი არ არსებობს – ეს ინსტიტუტი არც სახელმწიფო რეგულაციის ქვეშ არის და არც სხვა სახის კონტროლს ექვემდებარება. არბიტრაჟებს შეუძლიათ, გარიგებული მხარისთვის სასურველი სააღსრულებო ფურცელი დაწერონ, რომლის აღსრულებაც აღმასრულებელისთვის სავალდებულოა," - ამბობს ადვოკატი დიმიტრი გაბუნია და იქვე განმარტავს, რომ თბილისში კარგად დამუშავებული სქემა მოქმედებს. აგებულია სამკუთხედი, რომელიც შემდეგნაირად მუშაობს - სესხის გამცემი კერძო პირები (მცირე სესხების გამცემი წვრილი კომპანიები, ლომბარდები და ა.შ), რომლებიც წვრილ მეწარმეებს ან ჩვეულებრივ მოქალაქეებს სესხის გარანტად, ძირითადად, ბინებს ადებინებენ. პროცენტის გადახდისას მცირედი დაგვიანების შემთხვევაშიც კი, გადამოწმების გარეშე, მათ მიერვე შექმნილ არბიტრაჟებს

გაგრძელება A6 გვერდზე

უკანონოდ მითვისებული მიწის ნაკვეთი და ნახევარი მილიონი ლარის ჯარიმა

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავა. როგორც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ, სოსო თოფურიძემ განაცხადა, დაკავებულია საჯარო რეესტრის გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის მოადგილე უშანგი ხუციშვილი.

"კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები. საჯარო რეესტრის გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსის მოადგილე, უშანგი ხუციშვილი და მოქალაქეები რეზო მამუკაშვილი და ვაჟა ზუბიაშვილი, რომლებმაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და თაღლითობის გზით, უკანონოდ მიისაკუთრეს სოფელ ბეთანიაში მდებარე სახელმწიფო კუთვნილი 4 ათასი კვადრატული მიწის ნაკვეთი", - განაცხადა სოსო თოფურიძემ.

მისივე თქმით, სასამართლოს გადაწყვეტილებით, უკანონოდ მითვისებული 4 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი სახელმწიფოს დაუბრუნდა. რაც შეეხება საჯარო რეესტრის გარდაბნის სარეგისტრაციო მომსახურების უფროსის მოადგილეს უშანგი ხუციშვილს, მან სახელმწიფო ბიუჯეტში ჯარიმის სახით ნახევარი მილიონი ლარი შეიტანა.

ჯი-ეიჩ-ენი

აჭარაში მოქმედი თაღლითური ჯგუფის წევრები დააკავეს

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, დააკავეს აჭარაში მოქმედი თაღლითური ჯგუფის წევრები: ჯგუფის ლიდერები - გივი ჭუმბურიძე და ზურაბ ბიგვავა, დასავლეთის ზონის კოორდინატორი ავთო დონაძე, აჭარის ზონის კოორდინატორი თამაზ თებიძე, აჭარის ზონის კოორდინატორის მოადგილე გელა თურმანიძე და ბათუმის ზონის კოორდინატორი ჯემალ დუმბაძე, რომლებიც საქმიანობდნენ სააქციო საზოგადოება ''საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის'' სახელით.

სამართალდამცველების ინფორმაციით, თაღლითური ჯგუფი, სხვადასხვა რეგიონში, სადაზღვევო კომპანიების რეგიონალურ ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნაში მოქალაქეებს სძალავდნენ 4000 ლარს, ხოლო კოორდინატორებს და სადაზღვევო აგენტებს ჰპირდებობდნენ სოლიდურ ანაზღაურებას, სანაცვლოდ მათგან მოითხოვდნენ ვითომდა, კომპანიის ''კუთვნილი აქციების'' შეძენას 100-130 ლარად.

გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნული ჯგუფის წევრებს თაღლითური გზით, მოტყუებული ჰყავთ ასობით მოქალაქე და მითვისებული აქვთ ათასობით ლარი. ამოღებულია დიდი რაოდენობით ყალბი აქციები და ბეჭედი, გამოძიებას აწარმოებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.

მედიანიუსი

რუსი ოკუპანტები მათ მიერვე გათხრილ სანგარში ჩაცვივდნენ

რუსი ოკუპანტები ქართული მოსახლეობის ძარცვას განაგრძობენ. ნაბაკევის, საბერიოს, ჩეღალის, თაგილონისა და ბარღების მოსახლეობის ძარცვა, გუშინწინ, მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა.

რუსებმა მოსახლეობას ზამთრის მარაგი, პროდუქტი და საქონელი წაართვეს. დიხაზურგა-ჭუბურხინჯის საზღვარზე საძარცვავად ჯავშანტრანსპორტიორით გასული ოკუპანტები მათ მიერვე გათხრილ სამმეტრიან სანგარში ჩავარდნენ, რომელიც წყლით იყო სავსე. მათი ცხედრები გუინ დილით იპოვეს.

პირველი

თბილისში ბანკ "რესპუბლიკის" ახალი ფილიალი გაიხსნა

საქართველოში არსებული ფინანსური კრიზისის მიუხედავად, ბანკი რესპუბლიკა (ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი) ტრადიციას არ ღალატობს და თბილისში კიდევ ერთ ახალ ფილიალს ხსნის. ბანკ რესპუბლიკის უნივერსალური მომსახურებით ახლა უკვე სანზონის მოსახლეობაც ისარგებლებს. ახალი ფილიალი გურამიშვილის გამზირზე N 34 -ში გაიხსნა.

ბანკ რესპუბლიკის ერთ-ერთი სტრატეგია საქართველოს მასშტაბით ფილიალების ქსელის გაფართოებაში მდგომარეობს. შექმნილი კრიზისული ვითარების ფონზე, მაშინ როცა მთელს ქვეყანაში საბანკო ფილიალები და საწარმოები იხურება, ბანკ რესპუბლიკის მომსახურების ახალი ცენტრის გახსნა ძალიან მნიშვნელოვანია.

ბანკ რესპუბლიკის გენერალურმა დირექტორმა ჟილბერ იმ ფილიალის პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ სოსიეტე ჟენერალი აღებულ კურსს არ უღალატებს და იმ მიზნებსა და სტრატეგიებს, რომელიც მომხმარებელს საქართველოს ბაზარზე შემოსვლისას დაპირდა, ბოლომდე შეასრულებს. **ბანკი „რესპუბლიკა“ გთავაზობთ უნივერსალურ საბანკო მომსახურებას. ჩვენი კარი ღიაა ნებისმიერი თქვენგანისათვის, თუკი თქვენ საკრედიტო მომსახურება გესაჭიროებათ ან დეპოზიტის განთავსება გნებავთ. ფინანსური კრიზისის და, განსაკუთრებით, საიმარი ვითარების მძიმე ფონზეც კი, ჩვენ არ შეგვიფერხებია საკრედიტო საქმიანობა. პირი, რომელიც ბანკ „რესპუბლიკაში“ სახელფასო ანგარიშს გადმოიტანს, აგრეთვე, ის საწარმო, რომელიც ჯანსაღი ფინანსური ისტორიით ხასიათდება, სესხს ხელსაყრელი პირობებით მიიღებს. დღეს სანზონის ფილიალი გაიხსნა, მალე კიდევ ერთი ახალი ფილიალი დაემატება თბილისის ამ უბანს, რაც უფრო კომფორტულს და ადვილად ხელმისაწვდომს გახდის ბანკი „რესპუბლიკის“ უნივერსალურ საბანკო მომსახურებას. ვიმედოვნებ, მოსახლეობა ნამდვილად კმაყოფილი იქნება მაღალი დონის მომსახურებით,** - განაცხადა საზეიმო ღონისძიებაზე ბანკის გენერალურმა დირექტორმა.

ბანკი რესპუბლიკა საქართველოში საცალო და ფინანსურ მომსახურებაში მუდმივად ზრდადი ოპერაციების მხრივ, წამყვანი კომერციული ბანკია. მას საქართველოში 43 სერვისცენტრია აქვს, რომელშიც 1000-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული.

ბანკის წილი მთლიან საბანკო დეპოზიტებში 8,6%-ს, ხოლო მთლიან საბანკო სესხებში - 7,6%-ს შეადგენს. კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელი კი 3%-ით განისაზღვრება. 2007 წელს ბანკ რესპუბლიკის აქტივები 42%-ით გაიზარდა. შეგახსენებთ, რომ 2006 წელს ბანკ რესპუბლიკის აქციათა პაკეტის 60%-ი სოსიეტე ჟენერალი -მ შეიძინა, 10%-იანი პაკეტი კი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა.

ბანკ რესპუბლიკის პარტნიორი სოსიეტე ჟენერალი , რომელიც 1864 წელს დაარსდა, ევროზონაში ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური ინსტიტუტია. ჯგუფში დასაქმებულთა საერთო რიცხვი 151000 ადამიანს აღემატება. ბანკი მსოფლიოს 82 ქვეყანაშია წარმოდგენილი, მათ შორის საქართველოშიც.

მკვლელობის ვერსიები

სოხუმის დე-ფაქტო რეჟიმის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ზაკან ჯუღელიას მკვლელობის გამოძიებაში რუსი სპეციალისტები ჩაერთვნენ. გამოძიება ორ ვერსიაზე მუშაობს და ორივე ვერსია აფხაზეთში მოქმედ კრიმინალურ სამყაროს უკავშირდება.

საქმის შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ დეკემბერში და იანვრის დასაწყისში ზაკან ჯუღელია ადგილობრივი კრიმინალური ავტორიტეტებისგან მუქარის წერილებს იღებდა. როგორც სოხუმის ე.წ. გენერალური პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოში აცხადებენ, შს მინისტრის მოადგილის მკვლელობის დამკვეთს ან შემსრულებელს სურდა ის ადამიანებიც დაეშინებინა, ვინც ჯუღელიას შემდეგ მის საქმეს გააგრძელებენ.

ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელობა ჯუღელიას სამსახურებრივი საქმიანობით უკმაყოფილო პირებმა ჩაიდინეს და მათი მიზანი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოების დაშინება იყო.

კიდევ ერთი ვერსიით კი, ე.წ. მინისტრის მოადგილე კრიმინალურ და ბიზნესსფეროებში რეალური ავტორიტეტის მქონე ადამიანებმა კრიმინალური ტერორის ფონის შექმნისა და ე.წ. სამართალდამცველი ორგანოების უმწეობის დემონსტრირების მიზნით მოკლეს. ე.წ. გენერალურ პროკურატურაში ასევე აღნიშნავენ, რომ მკვლელობის თვითმხილველები მწირ და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს იძლევიან, რასაც აფხაზი გამომძიებლები მათი არაგულწრფელობითა და დაშინებით ხსნიან. ზაკან ჯუღელია 26 იანვარს, სოხუმის ცენტრში კაფე "კიკი"-ში ნიღბიანმა თავდამსხმელმა გადაჭრილი თოფიდან გასროლით მოკლა. თავდაპირველად, სეპარატისტები მომხდარ მკვლელობას ქართულ მხარეს უკავშირებდნენ.

მედიანიუსი

დამწვარი ქალბატონის ვინაობა და გარდაცვალების მიზეზი დადგენილია

გლდანში ნაპოვნი დამწვარი ქალბატონის ვინაობა და გარდაცვალების მიზეზი დადგენილია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, დადგინდა, რომ გარდაცვლილი 1954 წელს დაბადებული გულიზარ ფილიშვილია. გამოძიების მიმდინარეობისას გამოიკვეთა თვითმკვლელობის ჩადენის ფაქტი. წინასწარი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, გულიზარ ფილიშვილის გარდაცვალების მიზეზი მე-2, მე-3 და მე-4 ხარისხის დამწვრობა გახდა. მიმდინარეობს გამოძიება, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველო აწარმოებს. როგორც ცნობილია, ქალბატონის ცხედარი თბილისში, გლდანის მე-7 მ/რ-ს მიმდებარე ტერიტორიაზე 31 იანვარს აღმოაჩინეს.

პირველი

დღეს საჯარო რეესტრის განახლებული ვერსიის ამოქმედება

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ შიდა სამსახურებრივი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავა და დანერგა კანცელარიის პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის განახლებული ვერსიის ამოქმედება 2 თებერვლიდანაა დაგეგმილი. აღნიშნული პროგრამის მეშვეობით ოპერატიულად ხდება სარეგისტრაციო სამსახურში შემოსული წერილების აღრიცხვა, ხელმძღვანელობისთვის დროულად გადაცემა, შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გაგზავნა, ინფორმაციის შენახვა, მოძიება, ყოველთვიურად დოკუმენტბრუნვის მიხედვით შესრულებული და შეუსრულებელი დავალებების სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა. პარალელურად მიმდინარეობს სააგენტოს კანცელარიის არქივის ციფრულ ფორმატში გადატანა და ერთიან მონაცემთა ბაზაში განთავსება.

უახლოეს მომავალში აღნიშნული პროგრამა განთავსდება სააგენტოს ვებ-გვერდზე და მომხმარებლებს შესაძლებლობა მიეცემათ, სახლიდან თუ ოფისიდან გაუსვლელად, სარეგისტრაციო სამსახურებში ინტერნეტით გააგზავნონ კორესპონდენციები და ამავე გზით მომზადებული პასუხები მიიღონ

.პირველი

დიდი ქაოსი საარბიტრაჟო სისტემაში

მეხუთე გვერდიდან

სასურველ გადაწყვეტილებებს აფორმებინებენ და აღმასრულებელების დახმარებით კლიენტებს ბინებს უყიდიან.

დღეს სასამართლოში იმ მოქალაქეების უამრავი სარჩელია შესული, რომლებიც ამ გზის გავლის შედეგად, უსახლ-კაროდ დარჩნენ. როგორც დაზარალებულთა უმრავლესობა ამბობს, არბიტრაჟის გადაწყვეტილების შესახებ, მხოლოდ ბინების გაყიდვის შემდეგ შეიტყვეს.

"საქართველოში არსებული ჯიბის არბიტრაჟების ინსტიტუტი უნდა მოისპოს. რამდენიმე კაცმა არ უნდა შექმნას შპს და მხარეს ან სახელმწიფოს ხელოვნურად არ უნდა წააგებინონ საქმე. არ შეიძლება დავა გაარჩიოს ამ ტიპის არბიტრაჟმა. უნდა ჩამოყალიბდეს დამცავი მექანიზმები, მკაცრად გათვლილი კრიტერიუმით უნდა განისაზღვროს, ვინ გაარჩიოს დავა და თანაც, გარანტირებული უნდა იყოს დამოუკიდებლობის ხარისხი," – ამბობს ადვოკატი დიმიტრი გაბუნია, რომელიც ირწმუნება, რომ ეს ყველაფერი სამი წლის წინ მომზადებულ კანონპროექტში მკვეთრად იყო განსაზღრული.

"რატომ გაჩერდა კანონპროექტი, სამწუხაროდ, ჩემთვის გაუგებარია. ამ ხნის მანძილზე ქვეყანაში ახალი კანონი რომ ამოქმედებულიყო, საარბიტრაჟო ქაოსი აღარ იქნებოდა. როგორც ჩანს, არ არსებობს სურვილი, რომ არბიტრაჟმა გამართულად იმუშაოს. ჩემი აზრით, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეიცვალოს 1997 წელს მიღებული კანონი, რადგან იგი არარსებულ საკანონმდებლო ნორმებზე დაყრდნობითაა დაწერილი, კერძოდ, ძველ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებზე. ამასთან, იმ პერიოდში არ არსებობდა სააღსრულებლო კანონიც. სისხლის სამართლის კოდექსში სასწრაფოდ უნდა შევიდეს ცვლილებები უკანონო საარბირტაჟო გადაწყვეტილებაზე, რადგან ეს ქმედება დასჯადი არ არის," - ამბობს დიმიტრი გაბუნია.

კანონით გამყარებული უკანონობა

"კანონი კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოში 1997 წელს მიიღეს და მას ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ინსტიტუტი ქართული ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ბერკეტი უნდა ყოფილიყო, ამასთან, მას სასამართლოს მუშაობის განტვირთვის უზრუნველყოფაც ეკისრებოდა.

"არბიტრაჟის შესახებ კანონით", პირებს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა, მათივე შეთანხმებით, განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს. თუმცა, კანონი არ განსაზღვრავს ვინ შეიძლება იყოს კერძო არბიტრაჟი, სავალდებულოა თუ არა სპეციალური განათლება ან სხვა რამე ბერკეტი, რომელიც არბიტრაჟს გადაწყვეტილების გამოტანისას, გარკვეულ პასუხისმგებლობას დააკისრებს.

ათი წლის წინ, როდესაც საქართველოში კერძო არბირტაჟი პირველად იკიდებდა ფეხს, ქვეყნის მასშტაბით, პროფესიონალი იურისტების მიერ რამდენიმე კერძო არბიტრაჟი შეიქმნა და მათი გადაწყვეტილებები სამაგალითოდ ითვლებოდა. იმ დროს დიდი და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებიც იმედოვნებდნენ, რომ ახალი ინსტიტუტი აშკარად გაუადვილებდათ სამოქალაქო დავებს, რომელსაც არსებული საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოში საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა - "დრო კი ბიზნესმენისთვის ფულია".

მიუხედავად, იმისა, რომ "არბიტრაჟის შესახებ კანონში" იმთავითვე იყო ჩადებული არბიტრაჟის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმი, როგორც ერთ-ერთი პირველი კერძო არბიტრაჟის "თბილისის საარბიტრაჟო პალატის" დამფუძნებელი დიმიტრი გაბუნია იხსენებს, მაშინდელი გადაწყვეტილებები იმდენად სამართლიანი და დასაბუთებული იყო, რომ წაგებული მხარე სასამართლომდე აღარც მიდიოდა.

გარდა სამოქალაქო დავებისა, თავის დროზე კერძო არბიტრაჟს საგადასახადო დავების განხილვის უფლებაც ჰქონდა. თუმცა, მაშინ ამ შინაარსის მხოლოდ ერთადერთი საქმის განხილვა მოხერხდა და ისიც, სახელმწიფოს დამარცხებით დასრულდა.

"თბილისის საარბიტრაჟო პალატამ" განიხილა "თელასის" საგადასახადო დავა საქართველოს ხელისუფლებასთან, რა დროსაც სახელმწიფოს კერძო ფირმის საარგებლოდ საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა დაეკისრა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ქართულმა არბიტრაჟმა ვერც ბიზნესის განვითარება და ვერც მართლმსაჯულებისთვის შრომის შემსუბუქება შეძლო. მეტიც, სპეციალისტთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ ბოლო პერიოდში არბიტრაჟი მეწარმეებისთვის დამატებითი მარწუხი გახდა.

საერთაშორისო არბიტრაჟებში შეტანილი საჩივრები

"საქართველოში არბიტრაჟი, ფაქტობრივად, არ არსებობს. კერძო არბიტრაჟის შექმნა ძალიან პროგრესული ნაბიჯია იმისათვის, რომ ბიზნესში ხელისუფლების მიმართ ნდობა გაჩნდეს და ბალანსი დამყარდეს. ამასთან, ეს ინსტიტუტი ძალიან მნიშვნელოვანია საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად, რათა ეკონომიკა განვითარდეს, ანუ ბიზნესმენმა დაცულად იგრძნოს თავი," – აცხადებენ ექსპერტები.

გამართული და დამოუკიდებელი არბიტრაჟის არსებობა ქვეყნისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რადგან, მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბიზნესის განვითარება. არადა, ბოლო პერიოდში აშკარად მოიმატა საერთაშორისო არბიტრაჟებში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილმა საჩივრების რაოდენობამ. კერძოდ: საინვესტიციო დავების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს "არეს ინტერნაციონალ შრლ"-მ და "მეტალგეო შრლ"-მ. "რაიფეისენ ცენტრალბანკ"-მა და "სტეიჰ A.G."-იმ კი სარჩელები შეიტანეს საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ. კომპანია "ინტერნაციონალ ენერგ L.L.C "-მ საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო-კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოში.

ცოტა ხნის წინ ამერიკულმა კომპანია "იზი ინტერპრაისზმა" და ქართულმა ბიზნესჯგუფმა, რომლებიც "ლაზერი 2 თბილისს", "სონი ცენტრი თბილისს" და "კაფე რუსთაველს" ფლობენ, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანეს სარჩელი. კომპანიაში განმარტავენ, რომ ამერიკელ და ქართველ ბიზმესმენებთან დავაში საქართველოს ბიუჯეტმა შესაძლოა, 12 მილიონ დოლარზე მეტი იზარალოს.

ქართველი ექსპერტების ვარაუდით, საერთაშორისო არბიტრაჟში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ კიდევ უფრო ბევრი საქმე წავიდოდა, რომ არა ერთი მთავარი მიზეზი - საერთაშორისო არბიტრაჟებში დავა სოლიდურ თანხებს უკავშირება, რისი ფუფუნებაც ქართველ ბიზნესმენებს ნაკლებად აქვთ.

"ისეთი არბიტრაჟის არსებობა, რომელიც რეალურად გონივრულ ვადაში და სრული პასუხისმგებლობით, როგორც მორალურად, ასევე, მატერიალურად იხილავს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს, უდავოდ ხელს შეუწყობს ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას. მომხმარებელი მიკერძოებული თუ არასწორი, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში ინაზღაურებს მიყენებულ ზიანს, ხოლო სადაზღვევო სისტემის შემოსვლით ამ სფეროში შესაძლებელი ხდება არასასურველი გადაწყვეტილების მიღებისას განცდილი ზარალის ანაზღაურებაც. მსგავსი ინსტიტუტი მიმზიდველი იქნება იმ ქართველი ბიზნესმენებისთვისაც, რომლებიც თავისი საქმიანობის გარკვეულ ნაწილს აწარმოებენ უცხოეთში და პირიქით, საქართველოში მოღვაწე უცხოელი ინვესტორებისთვისაც," – ამბობს ადვოკატი პაატა გომელაური.

საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლოს სისტემაში უმართავი სიტუაციაა. ამის თაობაზე, ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტარები და ექსპერტები ღიად საუბრობენ. აცხადებენ, რომ ძლიერი არბიტრაჟი ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ სფეროში არსებული ქაოსის დალაგებაზე არავინ ზრუნავს. არადა, გამართული არბიტრაჟი ბიზნესის არსებობისა და განვითარების გარანტია, ძლიერი ბიზნესი კი ის ბაზისია, რომელზეც ასევე ძლიერი და დემოკრატიული ქვეყანა უნდა აშენდეს.

განცხადება კონკურსის შესახებ

სსიპ მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა შემდეგ თანამდებობებზე:

ბიოლოგიური ძვრადობის განყოფილება:

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 3 (1 საშტატო ერთეული) და 1 (0.5 საშტატო ერთეული); მეცნიერ-თანამშრომელი - 4 (1 საშტატო ერთეული) და 1 (0.5 საშტატო ერთეული);

მოლეკულური ბიოფიზიკის განყოფილება:

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 2 (1 საშტატო ერთეული) და 1 (0.5 საშტატო ერთეული); მეცნიერ-თანამშრომელი - 2 (1 საშტატო ერთეული);

სტრუქტურული ბიოინფორმატიკისა და სინთეზის განყოფილება:

მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 1 (1 საშტატო ერთეული); უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 2 (1 საშტატო ერთეული); მეცნიერ-თანამშრომელი - 3 (1 საშტატო ერთეული);

ფუნქციური გენომიკის განყოფილება:

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 2 (1 საშტატო ერთეული); მეცნიერ-თანამშრომელი - 3 (1 საშტატო ერთეული);

ფუნქციური გენომიკის განყოფილებასთან არსებული გენმოდიფიცირებული ორგანზმების ანალიზის ლაბორატორია: ლაბორატორიის ხელმძღვანელი/ მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 1 (1 საშტატო ერთეული); უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 2 (1 საშტატო ერთეული); მეცნიერ-თანამშრომელი - 1 (1 საშტატო ერთეული);

აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) მთავარი მეცნიერ თანამშრომლის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა კანდიდატის, დოქტორის) ხარისხი;

ბ) უფროსი მეცნიერ თანამშრომლის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;

გ) მეცნიერ თანამშრომლის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;

კონკურსთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნა განთავსებულია ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: web-site:http://www.imbbp.org/contest-2009.html და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე: web-site:http://www.mes.gov.ge/ **საბუთები მიიღება** მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში. მისამართი: გოთუას ქ. 12, თბილისი. 11-16 საათამდე. **საბუთები წარმოდგენილი უნდა იყოს** ქართულ ენაზე ნაბეჭდი სახით და ელექტრონული ფორმით. **საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 3 მარტი 16სთ.** კონკურსის შედეგები გამოცხადდება **2009 წლის 16 მარტს**.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: e-mail: info@imbbp.org; chelidze@imbbp.org fax:+99532371733; tel: 371733; 374211; 899588964. პასუხისმგებელი პირი: მეგი ჭელიძე

მთავარი დირსშესანიშნაობა - სიმშვიდე

პირველი გვერდიდან

რამ განაპირობა ასეთი გარემოს შექმნა. 50,000 სამხედრო პირი, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მთელი დღის განმავლობაში პატრულირებდნენ და მთელი რიგი შეზღუდვები - ასეთია ის უპრეცედენტო ზომები, რასაც ქვეყნის მთავრობამ უსაფრთხოების დასაცავად მიმართა. ქუჩებში ამერიკელი სამხედროებიც ჩანდნენ, თუმცა ამჯერად მეორეხარისხოვან როლში. თავისი ხალხის დაცვა ერაყის ხელისუფლებამ საკუთარ ჯარს მიანდო. თავდაცვის ასეთი უპრეცედენტო ზომების მიღება ალ ქაიდას მიერ არჩევნების ჩაშლის საფრთხემ განაპირობა.

ჯარმა ქუჩაში ტრანსპორტის გადაადგილება აკრძალა, რაც ერაყელი ბავშვებისთვის დიდი საჩუქარი აღმოჩნდა. მაშინ, როდესაც მშობლები რეგიონულ საბჭოებს ირჩევდნენ, მოზარდები ფეხბურთს პირდაპირ გზის სავალ ნაწილზე თამაშობდნენ. კარის მაგივრობას კი მათ სამხედროების მიერ მოწყობილი ბარიერები უწევდათ. ქუჩებში მოთამაშე ბავშვები, მოსეირნე უფროსები, ერაყელები, რომლებიც მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად საარჩევნო უბნებზე ოჯახებთან ერთად მიდიოდნენ - შექმნილი ატმოსფერო დიდ სახალხო დღესასწაულს ჰგავდა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ერაყელების განწყობაც თითქმის სადღესასწაულო იყო. **როგორ შეიძლება, რომელიმე ჩვენგანი არ წავიდეს არჩევნებზე. ჩვენ ხომ ყოველთვის გვსურდა, გვყოლოდა ჩვენი წარმომადგენელი ხელისუფლებაში და ახლა, როგორც იქნა, გვაქვს შანსი, რომ ეს განვახორციელოთ,** - აცხადებდნენ ისინი.

"წითელი თითები ერაყის ასაშენებლად დაბრუნდნენ."

2005 წელს არჩევნებში უმრავლესობა პარლამენტში შიიტებმა და ქურთთა პარტიამ მოიპოვა. თუმცა მაშინ სუნიტებმა, რომლებიც მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენენ, არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს.

ამჯერად ხმის მიცემის პროცესი ერაყის 18 პროვინციიდან 14-ში ჩატარდა. დანარჩენ ოთხ რეგიონში, რომელთაგან სამი ქურთთა ავტონომიის შემადგენლობაში შედის, არჩევნები მოგვიანებით ჩატარდება. ხმის მიცემის უფლება 15 მილიონ მოქალაქეს ჰქონდა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ქვეყანაში აგიტაცია დაიწყო, რომლის მიზანიც ხმის მიცემის პროცესზე ქალების მიზიდვა გახდა. აგიტაციას თანამოქალაქეებს საზოგადოებრივი საქმიანობით დაკავებული ქალები, კერძოდ კი, პედაგოგები უწევდნენ.

არჩევნების შედეგები 3 თებერვალს გახდება ცნობილი. მანამდე კი რეგიონულ საბჭოებში არსებულ 440 ადგილზე პრეტენზიას 14 ათასი კანდიდატი აცხადებს. მხოლოდ ბაღდადში საბჭოს წევრობა 150 პარტიის 2.500 წარმომადგენელს სურს. ახალი საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, კანდიდატთა 25 პროცენტს ქალები უნდა შეადგენდნენ. წლევანდელ არჩევნებზე 14 ათას კანდიდატს შორის ქალების რაოდენობა 4 ათასია.

რეგიონალური საბჭო ეს არის ორგანო, რომელიც უფლებამოსილია აირჩიოს გუბერნატორი ანუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. გუბერნატორი კი ფინანსურ საკითხებსა და რეგიონის რეაბილიტაციაზეა პასუხისმგებელი.

რეგიონულმა არჩევნებმა, რომელიც გაერო-სა და ერაყის დამოუკიდებელი საარჩევნო კომისიის მიერ იყო ორგანიზებული, დადებითი შეფასებები მიიღო. ამერიკის ახლად არჩეულ პრეზიდენტ ბარაკ ობამას განცხადებით, ეს არჩევნები იმის დასტურია, რომ ერაყი მზად არის, თავის მომავალზე პასუხისმგებლობა აიღოს. ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ნური ალ-მალიკი კი კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ წითელი თითები ერაყის ასაშენებლად დაბრუნდნენ. წითლად შეღებილი ცერა თითი ერაყში იმის მაჩვენებელია, რომ ამომრჩეველმა ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა უკვე მიიღო.

დადებითი შეფასებების მიუხედავად, არ შეიძლება მკვლელობათა იმ სერიის დავიწყება, რომელიც არჩევნებს წინ უძღოდა. წინასაარჩევნო პერიოდში ერაყში 8 კანდიდატი მოკლეს, მათგან სამი სუნიტთა წარმომადგენელი იყო. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შესაძლოა ერაყი დგამს გარკვეულ ნაბიჯებს სტაბილურობისკენ მიმავალ გზაზე, თუმცა მისგან ჯერ კიდევ ძალიან შორს არის.

პოლიტიკური რისკების როლი მსოფლიო ეკონომიკაში

იენ ბრემერი - Eurasia Group-ის პრეზიდენტი, „მძიმე კუდის" თანააავტორი, (პოლიტიკური ინფორმაციის მნიშვნელობა სტრატეგიულ ინვესტიციებში) („The Fat Tail: The Power of Political Knowledge for Strategic Investing")
ნურიელ ბრემერი - ნიუ-იორკის უნივერსიტეტთან არსებული სტერნას სახელობის ბიზნესის სკოლის პროფესორი.

ოპტიმისტურად განწყობილი ექსპერტები ირწმუნებიან, რომ მსოფლიო ბაზრები დარტყმებს ვერც წელს გადაურჩება, თუმცა ფინანსური კრიზისის აპოგეა წარსულში დარჩა. მიუხედავად ამისა, 2009 წელი იმაზე რთული იქნება, ვიდრე ეს მოსალოდნელია.

ახალ წელს ძალიან რთული ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის პირობებში შევხვდით, ასეთი რამ დიდი დეპრესიის შემდგომ არ მომხდარა. ამერიკის ეკონომიკამ ჯერ კიდევ 2007 წლის დეკემბერში დაწყებული რეცესიიდან თავის დასაღწევი გზის მხოლოდ ნახევარი განვლო. 3 ტრილიონი დოლარის მოცულობის საკრედიტო დანაკარგმა აშშ-ს საბანკო და საფინანსო სისტემა, ფაქტობრივად, გააკოტრა. საკრედიტო კრიზისი მომავალშიც გაგრძელდება. საგადასახადო პრობლემებით დატვირთულ ინდივიდებს, ფინანსურ დაწესებულებებსა და კორპორაციებს ვალების დაფინანსების მკაცრი შეზღუდვა მოუწევთ.

ყველაზე უარესი კი ის არის, რომ რეცესიამ თითქმის ყველა ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკაში ღრმად გაიდგა ფესვები. განვითარებადი საბაზრო ეკონომიკის ბევრ ქვეყანას, მათ შორის ჩინეთსაც, ელის ე.წ „ხისტი დაშვება". ექსპერტები შიშობენ, რომ ეს ვითარება ინფლაციის საფრთხეს ბადებს, მას შესაძლოა მსოფლიო „სტაგ-დეფლაცია" მოჰყვეს, რომელიც ეკონომიკურ სტაგნაციას, რეცესიასა და ფასების ვარდნას მოიაზრებს. მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდებიან ევროპის ის ქვეყნები (უნგრეთი, რუმინეთი და ბულგარეთი), რომლებიც ეკონომიკურ ურთიერთობებში მეტ-ნაკლებად ფაქიზები არიან, ასევე ლათინური ამერიკის ქვეყნები (არგენტინა, ვენესუელა, ეკვადორი და მექსიკა), აზიის რეგიონი (პაკისტანი, ინდონეზია და სამხრეთ კორეა), ასევე რუსეთი, უკრაინა და ბალტიის ქვეყნები.

ეკონომიკური პოლიტიკის კუთხით გადადგმული ნაბიჯები მხოლოდ პოზიტიურ ეფექტებს ზღუდავს, რადგან გადახდისუნარიანობის პრობლემები მონეტარულ სტიმულის ეფექტს ამცირებს. მხოლოდ რამდენიმე გაკოტრებული ბანკის დახურვის მსგავსად, სხვა ფინანსური დაწესებულებების „გაწმენდით" და ფიზიკური პირებისადმი დაგროვილი ვალის მოცულობის შემცირებით თუ განიმუხტება სიტუაცია. მანამდე კი აქციებისა და დანარჩენი სარისკო აქტივების ფასის ვარდნა გარდაუვალია, ნეგატიური ფინანსური სიახლეების ფონზე კი ბაზრების გაჯანსაღება შეუძლებელია.

უახლოესი ორი წლის მანძილზე კვლავ გაიზრდება

უახლოესი ორი წლის მანძილზე კვლავ გაიზრდება აშშ-ს საბიუჯეტო დეფიციტი და მიმდინარე ბალანსის უარყოფითი სალდო. ყველამ კარგად ვიცით, რომ უკანასკნელ წლებში ეს ვალი, ძირითადად, უცხოური აქტივებით ფინანსდებოდა. „ორმაგი დეფიციტის" პრობლემამ აშშ-ში ჯერ კიდევ 1980-იან წლებში იჩინა თავი, მაგრამ მაშინ ჩვენი სახელმწიფო ობლიგაციები ჩვენივე ქვეყნის უმსხვილესმა სტარტეგიულმა პარტნიორებმა - იაპონიამ და გერმანიამ შეისყიდეს. ამჟამად ვითარება უფრო საშიშია, რადგან სახელმწიფო ვალის დაფინანსებაში არა აშშ-ს მოკავშირეები, არამედ რუსეთის მსგავსი სტრატეგიული მოწინააღმდეგეები არიან ჩართულნი, რის შედეგადაც აშშ „არაკეთილისმსურველ მეგობრებზე" აღმოჩნდა დამოკიდებული.

თუმცა, დამოკიდებულება ამ შემთხვევაში ორმხრივ ხასიათს ატარებს, რაც მის პოზიტიურ ასპექტებს მოიცავს. „ორმხრივად გარანტირებული ეკონომიკური განადგურება", რომლითაც მსგავსი ურთიერთობები შეიძლება დახასიათდეს, ნიშნავს იმას, რომ ჩინეთს არ შეუძლია, მარტივად გადაკეტოს ფინანსური ონკანი, რადგან ამით ის საკუთარ თავსაც აზიანებს. ვაშინგტონისთვის დაფინასების შემცირება იუანის კურსის ზრდას განაპირობებს, რაც, საერთო ჯამში, ჩინეთის ეკონომიკურ ზრდას იწვევს. ამავდროულად, ამერიკის დეფიციტის დაფინანსების შემცირების კუთხით, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების მზადყოფნა და შესაძლებლობა მათვე შეუქმნის საბიუჯეტო პრობლემებს. იმ დროს, როცა აშშ-ს სახაზინო ემისიის ვალდებულებების ცუნამი დაატყდება თავს, ამ სახელმწიფოებს რესურსების დახარჯვა შიდა საჭიროებისთვის მოუწევთ.

ვითარებას პოლიტიკური ფაქტორებიც ართულებს, რომლებიც, პირველ რიგში, მდიდარი თუ განვითარებადი სახელმწიფოების მხრიდან მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ჩარევით არის გამოწვეული. სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლებები ძალას არ იშურებენ საკუთარი მწარმოებლების სტიმულირების „პაკეტის" შესამუშავებლად, რაც ამ ქვეყნების ეკონომიკისთვის ახალი სიცოცხლის ტოლფასია.

რა წარმოადგენს საფრთხეს? რამდენიმე კვირის წინ „დიდი ოცეულის" სამიტზე მსოფლიო ლიდერებმა ანტიკრიზისული ეკონომიკური ზომების შესახებ ისაუბრეს. საქმე ისაა, რომ სტიმულირების „პაკეტის" შემუშავებისას სახელმწიფოები პირადი პოლიტიკური მოტივებით ხელმძღვანელობენ. სწორედ ამიტომ, 2009 წელს მსოფლიო ეკონომიკას პოლიტიკური მოტივები იმაზე მეტად განსაზღვრავს, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა.

ეს არის საშიში და გრძელვადიანი ტენდენციის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი. ყველაზე პრობლემურები ამ მხრივ რუსეთი და ჩინეთი არიან, სადაც ხანგრძლივი გუნდური ეკონომიკის პირობებში პოლიტიკურ ელიტას ე.წ „სახელმწიფო კაპიტალიზმის" სინდრომი განუვითარდა. სახელმწიფო ნავთობკომპანიებისა და სხვა საწარმოების, ისევე როგორც „კეთილდღეობის ფონდების" მრავალრიცხოვნობის გამო უპრეცედენტოდ დიდ მასშტაბებს აღწევს ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური ბიუროკრატების მონაწილეობა.

ამ თამაშში ახლა უკვე ამერიკაც ჩაერთო. ნიუ-იორკი, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ მსოფლიოს ფინანსურ ცენტრად მიიჩნეოდა, ახლა უკვე ამერიკის ფინანსური დედაქალაქის სტატუსსაც კარგავს. მისი ადგილი ვაშინგტონმა დაიკავა, სადაც ეკონომიკურ კურსზე კანონმდებლების პოლიტიკური გავლენა ძალიან აქტიურია. კომპანიებს და სექტორებს, რომლებსაც ჩაძირვა ემუქრებოდათ, სახელმწიფო ეხმარება. მსგავსი დრამა თამაშდება ევროპისა და აზიის რეგიონშიც. ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივის რანგში შანჰაი - პეკინს, მუმბაი - დელის, დუბაი კი აბუ-დაბის უთმობს ადგილს.

2009 წელს მსოფლიო ბაზრებს პოლიტიკური რისკების ტრადიციულ ფორმებთან მოუწევთ შეჯახება. პაკისტანში რადიკალების მოღვაწეობა, რაც ფინანსურ მდგრადობას ეწინააღმდეგება, მის საზღვრებს სცილდება და ავღანეთსა და ინდოეთში ინაცვლებს.

არჩევნებმა კი ისრაელსა და ირანში თეირანის ატომური პროგრამის გარშემო ატეხილი საერთაშორისო კონფლიქტი შესაძლოა, დუღილის ტემპერატურამდე მიიყვანოს, რაც ნავთობის ბაზარზე მღელვარების პირდაპირპროპორციულია.

ექსპერტები ამბობენ, რომ უდიდესი მასშტაბების მქონე რეცესია ეს-ეს არის იწყება.

„უოლ სთრით ჯორნალი"

CMYK - 8

აიცილეთ კურსის ცვალებადობის

გახსენით
პოვალიტიბადი ანაბ
ბანკ "რესპუბლიკაში

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

CMYK - 8

CMYK - 9

ისჯი!

£

ლი

!

თქვენი ანაბრის ვალუტის ჯერსი ეცემა?

ჯონვერტირებადი ანაბარი გაძლევთ საშუალებას, გადაიტ
თქვენი დანაზოგი სხვა ვალუტაში და თანაც შეინარჩ
ანაბარზე დაგროვილი სარგებელი.

თუ გახსნილი გაქვთ ჯონვერტირებადი ანაბარი ბანკ "რესპუბლ

- ანაბარზე განთავსებულ თანხას გაანალდებთ ნებისმ
  ვალუტით
- მიიღებთ მაღალ სარგებელს – 14%-მდე
- ხართ მსოფლიო საბანკო ჯგუფ "სოსიეტე ჟენერა
  პატივცემული მეანაბრე

ჯონვერტირებადი ანაბრის გასახსნელად ეწვიეთ ჩვენს ნები ფილიალს:

თბილისის ფილიალების ქსელი

სათავო ოფისი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
ცენტრალური ფილიალი	გრ. აბაშიძის ქ. 2	925555
დელისის ფილიალი	ალ. ყაზბეგის გამზ. 47	312161
სადგურის ფილიალი	რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია	910600
დიდუბის ფილიალი	წერეთლის გამზ. 10	345556
პეკინის ფილიალი	პეკინის გამზ. 28	433355
გლდანის ფილიალი	ხიზანიშვილის ქ. 20	590550
ისნის ფილიალი	ნავთლუღის ქ. 6/2	243737
ფალიაშვილის ფილიალი	ფალიაშვილის ქ. 33ა	912237
ჭავჭავაძის 24 საათიანი ფილიალი	ჭავჭავაძის გამზ. 13	925555
აღმაშენებლის ფილიალი	აღმაშენებლის გამზ. 112	243585
ვაჟა - ფშაველას ფილიალი	ვაჟა - ფშაველას გამზ. 71	244114
დიღმის ფილიალი	დიღმის მასივი, I კვარტალი, I ბ კორპუსი	518515
სანზონის ფილიალი	გურამიშვილის გამზ. 34	653515

რეგიონების ფილიალების ქსელი

ქუთაისის ფილიალი	გრიშაშვილის ქ. 6	
ბათუმის ფილიალი	ქუთაისის ქ. 6	(88
ბათუმის 24 საათიანი ფილიალი	გოგებაშვილის ქ.24	(88
სამტრედიის ფილიალი	რაზმაძის ქ. 2	
ზუგდიდის ფილიალი	ზვ. გამსახურდიას გამზ. 34	
რუსთავის ფილიალი	მეგობრობის გამზ. 20	8
ფოთის ფილიალი	აღმაშენებლის ქ. 50	8
თელავის ფილიალი	მარჯანიშვილის ქ. 4	8
სიღნაღის ფილიალი	თამარ მეფის ქ. 1	8

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით 24 ს
განმავლობაში: (8 22) 92 59

www.rep

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

CMYK - 9

წარმატებული „ნადირობა ვირთხებზე" ფოთის თეატრში

ᲚᲐᲨᲐ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ამ ორიოდე დღის წინ დიდი სტუმრიანობა იყო, რაც განაპირობა ფოთის თეატრის მიერ განხორციელებულმა საერთაშორისო პროექტმა. პირველად, ქართული თეატრის ისტორიაში უცხოელმა რეჟისორმა, (გერმანელმა რალფ ზიბელთმა) რეგიონალურ თეატრში სპექტაკლი დადგა.

რალფ ზიბელთმა ქართველ მაყურებელს მსოფლიოში ცნობილი თანამედროვე ავსტრიელი დრამატურგის პიტერ ტურინის პიესა "ნადირობა ვირთხებზე" შესთავაზა. ქართული ვერსიის ავტორი თეატრმცოდნე ლევან ხეთაგური გახლდათ. ტურინი ქართულად პირველად აჟღერდა და ზედმიწევნით ქართულად, ისე, რომ არ დაკარგულიყო ავტორისეული სასაუბრო სტილისტიკა და დიალოგის ტურინისეული მანერა. ამაზე მეტყველებდა მაყურებლის ლოგიკური დამოკიდებულება და აქცენტები სცენაზე გაგონილთან მიმართებაში.

სწორედ იმ ფაქტმა, რომ უცხოელი რეჟისორი დგამდა ერთ-ერთ ქართულ პროვინციულ თეატრში სპექტაკლს - განაპირობა დიდი და მანამდე უცხო, განსაკუთრებული სტუმრიანობა ფოთის თეატრში. არა ერთი პრემიერა მინახავს ამ თეატრში ბოლო წლების განმავლობაში, მაგრამ ეს უკანასკნელი ნამდვილად გამორჩეული და დაუვიწყარი დარჩება ჩემს მეხსიერებაში. სიმართლე გითხრათ, ნანახმა მოლოდინს და წინმსწრებ ლოგიკურ შეფასებებს ნამდვილად გადააჭარბა, ბოლო პერიოდის ქართულ თეატრში იმდენ სუსტ, არაპროფესიულ, სათქმელჩამოუყალიბებელ და აუწყობელ, დაუმთავრებელ სპექტაკლებს ვნახულობთ, მით უმეტეს, დედაქალაქის წამყვანი თეატრების სცენაზე, რომ ფოთის თეატრის მსახიობებისგან განსაკუთრებულს არაფერს ველოდი. როგორც უკვე ვთქვი, ჩემი ეჭვები და ნიჰილისტური დამოკიდებულება მთლიანად გამიქარწყლდა და საათნახევრის განმავლობაში ერთი წამითაც არ მომიწყვეტია თვალი და ყურადღება სცენისთვის (სხვათაშორის, მთელ დარბაზსაც, სადაც სტუმრებთან ერთად, ადგილობრივი რიგითი მაყურებელიც იჯდა), სადაც უცნაური წარმოდგენა თამაშდებოდა. სპექტაკლის უცნაურობაში ვგულისხმობ არა მხოლოდ სცენურ გარემოს, რომელიც მხატვარმა მაქს ჯულიან ოტტომ და რეჟისორმა რალფ ზიბელთმა შემოგვთავაზა, არამედ სპექტაკლის იდეას, პრობლემათა სპექტრს, თამაშის მანერას და მოულოდნელ, მაგრამ ლოგიკურ ფინალს.

სპექტაკლში სულ ორი ახალგაზრდა მსახიობი ჯანო იზორია და მარიკა ბუკია თამაშობენ. ისინი მანამდე სხვა სპექტაკლებშიც მინახავს, მაგრამ ასეთი დახვეწილები, ჩამოყალიბებულები და ორგანიზებულები, არც ერთში. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობებს სერიოზული პრობლემები აქვთ მეტყველების და ინტონაციების, მათმა შინაგანმა დუღილმა, მართალმა თამაშმა ეს ნაკლოვანებანი უკანა პლანზე გადაანაცვლა. ისინი თამაშობენ თანმიმდევრულად, ლოგიკურად და ზედმიწევნით ზუსტად სვამენ იდეურ მახვილებს, ქართველი მსახიობების ტემპერამენტი ორგანულ სინთეზში მოექცა ავსტრიელი დრამატურგის ლიტერატურულ წყაროსთან და გერმანელი რეჟისორის მსოფლაღქმასთან.

დინამიური წარმოდგენის დასრულების შემდეგ დიდხანს არ წყდებოდა გულწრფელი ემოციები და აპლოდისმენტები, რომელიც ერთდროულად ეკუთვნოდა რეჟისორს, მხატვარს, ქორეოგრაფ ირინა კუპრავას და რა თქმა უნდა მსახიობებს. შთაბეჭდილება სპექტაკლზე რამდენიმე მათგანმა იქვე გაგვიზიარა.

დათო საყვარელიძე - რეჟისორი, ოპერისა და ბალეტის თეატრის მმართველი: "პირველ რიგში ძალიან დიდი მოლოცვა უნდა მიიღოს არა მხოლოდ ფოთის თეატრმა, არამედ ზოგადად ქართულმა თეატრმა, რომ დაიდგა ასეთი საინტერესო სპექტაკლი. მე აღფრთოვანებული ვარ ნანახით, ძალიან კარგად მუშაობენ მსახიობები, ძალიან თანამედროვე სპექტაკლია. ასეთი დამაჯერებელი, ორგანული, კარგად აწყობილი სპექტაკლი იშვიათად მინახავს ბოლო წლების ქართულ თეატრში და რაც მთავარია თანამედროვე, რაც აკლია თბილისის წამყვანი თეატრების სცენებსაც კი. მსგავსი, მონო სპექტაკლები არ არის თანამედროვე ქართული თეატრის მოქმედ რეპერტუარში - ეს შემიძლია თამამად განვაცხადო, ეს არის დიდი და გაბედული ნაბიჯი ფოთის თეატრის, რეჟისორის და უპირველეს ყოვლისა მსახიობებისა. ვისურვებდი ჩემმა მეგობრებმა ნახონ ეს სპექტაკლი და ძალიან კარგი იქნება თუ გამართავენ გასტროლებს თბილისში და აჩვენებენ როგორი უნდა იყოს თანამედროვე ქართული თეატრი. ასეთ სპექტაკლს მე დიდი ხანია ველოდი ქართულ სცენაზე და ეს ვნახე ფოთის თეატრში".

რალფ ზიბელთი - სპექტაკლის რეჟისორი: "მე არასდროს ვუყურებ ჩემს პრემიერებს, დღესაც არ ვიცი როგორ ითამაშეს მსახიობებმა, მაგრამ ჩვენ გვქონდა რამდენიმე ე.წ. "პრაგონი" და თუ კი მსახიობები დღესაც ისე თამაშობდნენ, როგორც ბოლო დღეები, მაშინ მე კმაყოფილი ვიქნები. ეს ორი დღე მე გაოცებული ვარ ამ მსახიობების მობილიზებით და უნარით. თუ პუბლიკის რეაქციაზე ვიმსჯელებთ, მაყურებელმა ზუსტად ისე მიიღო სპექტაკლი, როგორც ჩვენ ჩაფიქრებული გვქონდა, რაც კიდევ უფრო ამყარებს ჩვენი მუშაობის შედეგს, მსახიობთა თამაშის სტილი არ არის მთლიანად გერმანული, ის უკვე გაქართულებულია ქართული ენერგიის და ტემპერამენტის ხარჯზე, ეს სინთეზი ორიგინალური გამოვიდა. მსახიობებმა შესანიშნავად გააცოცხლეს მხატვრის ესკიზები, მშვენივრად მოირგეს ის დეკორაცია, რომელიც სცენაზეა წარმოდგენილი."

ზაზა ხალვაში - კინორეჟისორი, რეგიონალური თეატრების ქსელის ვიცე-პრეზიდენტი, ბათუმის თეატრის მმართველი: "ვფიქრობ, რომ ეს ქართულ თეატრში ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია, როცა უცხოელი რეჟისორი დგამს, ნავსი გატყდა, ეს მოახერხა ფოთის თეატრმა, ეს გააკეთა თენგიზ ხუხიამ, როცა შეძლო უცხოელი რეჟისორის მოწვევა თავის თეატრში. შედგა ფაქტი და ძალიან საინტერესო სპექტაკლი, ალბათ უპრიანი იქნება ამ სპექტაკლის ჩვენება ბათუმში, და ვფიქრობ ძალიან საინტერესო შეხვედრა იქნება ჩვენი მაყურებლისა ამ სპექტაკლთან, ესეც რეგიონალური თეატრების ქსელით ეგიდით მოხდება. ეს არის მაგალითი დანარჩენი რეგიონალური თეატრებისთვის. ბათუმის თეატრსაც აქვს მსგავსი პროექტი, ბალტიისპირელ რეჟისორის მოწვევას ვაპირებთ, ოღონდ ეს არ უნდა იყოს ცალმხრივი პროცესი, ჩვენმა რეჟისორებმაც უნდა დადგან უცხოეთში, ამ ნავსის გატეხვას ახლა, იგივე რეგიონალური თეატრების ქსელის ეგიდით, ბათუმის თეატრი შეეცდება.

რაც შეეხება თავად სპექტაკლს, ეს არის ძალიან თანამედროვე სპექტაკლი, ორიგინალური ფორმით. შესანიშნავად მუშაობენ მსახიობები, მომხიბლა ჯანო იზორიამ, რომელიც ძალიან ორგანულია და არაოდინალური. ფინალში ის თითქოს, მართლაც ვირთხად გადაიქცევა, ხოლო რაც შეეხება მარიკა ბუკიას, ვფიქრობ, მან საერთოდ მოხსნა რეგიონალური თეატრის მსახიობებს შორის ყოველგვარი კომპლექსი, მან გამოიჩინა განსაკუთრებული სითამამე, მოგეხსენებათ არსებობს უამრავი ბარიერი ასეთი სცენების თამაშის დროს, მით უმეტეს, რეგიონალურ თეატრში, რასაც მე არ ვეთანხმები, მაგრამ რაც მთავარია ამ სპექტაკლში ეს არ იყო თვითმიზანი რეჟისორის მხრიდან, ის იყო სპექტაკლის ორგანული ნაწილი, ამიტომაც არ აღიქმებოდა არაადეკვატურად, ეროტიკული სცენა სხვა ბნელ, მდარე აზრებს არ წარმოშობდა, ეს იყო მეტაფორა - გაშიშვლებული ადამიანი როგორ გადაიქცევა ვირთხად. როგორც ჩანს ადამიანები ვირთხებს ემსგავსებიან".

თენგიზ ხუხია – ფოთის თეატრის მმართველი, საქართველოს რეგიონალური თეატრების ქსელის თავმჯდომარე: "მოგეხსენებათ, უკვე ერთი წელია ფოთის თეატრი ევროპის რეგიონალური თეატრების ქსელის წევრია და ამ ხნის განმავლობაში სულ ვაპირებდით საერთაშორისო პროექტის განხორციელებას. ევროპაში აღიარებულ რეჟისორის რალფ ზიბელთს კულტურის ფონდ "კავკასიის" პრეზიდენტის, თეატრმცოდნე ლევან ხეთაგურის დახმარებით დავუკავშირდით. საკმაოდ ძვირადღირებული პროექტი მომზადდა და განხორციელდა როგორც ფოთის თეატრის ფინასური სახსრებით, ასევე გოეთეს ინსტიტუტის და საქართველოს რეგიონალური თეატრების ქსელის დახმარებით და უშუალო მონაწილეობით. მოვიწვიეთ მხატვარიც, მაქს ჯულიან ოტტო, რომელმაც შესანიშნავი, მარტივად მოძრავი და ორიგინალური დეკორაციები დაამზადა, პროექტი მომზადდა იმისთვის, რომ სპექტაკლი შედარებით მარტივი იყოს სამოგზაუროდ ფესტივალებზე და სხვადასხვა უცხოურ (და არა მხოლოდ) თეატრალურ ფორუმებზე. მაყურებლის რეაქციიდან თუ ვიმსჯელებთ, პრემიერა შედგა და პროექტმა გაამართლა".

ლევან ხეთაგური – თეატრმცოდნე, რეგიონალური თეატრების ქსელის გენერალური მდივანი, ევროპის კულტურის პარლამენტის წევრი: "ზაფხულში, როდესაც შეიქმნა საქართველოს რეგიონალური თეატრების ქსელი ჩვენ ძალიან ბევრი გეგმა გვქონდა, მაგრამ ქართულ-რუსულმა კონფლიქტმა ძალიან ბევრი რამ შეაჩერა, თვითონ საქართველოს შიგნით დაგეგმილი ღონისძიებები დამუხრუჭდა. მას მოჰყვა მთავრობის ცვლა და ჩვენ შიდა ამოცანები ჯერ პრაქტიკულად არ დაგვიწყია, რაც შეეხება საგარეო ურთიერთობებს, აქ პირიქით, არაფერი არ გაჩერებულა, ის რაც დაიგეგმა თანმიმდევრულად შესრულდა, მათ შორის, ქართველი რეჟისორების გაყვანა პოლონეთში, საქმიანი შეხვედრები და მათი დაკავშირება პოლონელ კოლეგებთან, შვეიცარიაში ევროპის თეატრალური ქსელის "აი თი ემ"-ის შეხვედრაში მონაწილეობა და პირველი მოლაპარაკება რომელიც შედგა გერმანელ რეჟისორთან რალფ ზიბელტთან საქართველოში მოწვევის თაობაზე, რომელიც ჩემი ყოფილი სტუდენტია, იმ პერიოდის, როცა მე მოსკოვის "გიტისიში" ვასწავლიდი. ამიტომაც შევარჩიე ისეთი ევროპელი რეჟისორი, რომელიც რუსულ ენას ფლობდა და დასთან კომუნიკაციის პრობლემა მოხსნილი იქნებოდა.

რაც შეეხება ქართული ვარიანტის ავკარგიანობას, მე ვთვლი, რომ იდეალური თარგმანი არ არის, რადგან ლიტერატურული თარგმანი საკმაოდ განსხვავდება თეატრალური თარგმანისაგან, ყურში მომხვდა რამდენიმე სიტყვა, თუ ფრაზა რომელიც ლიტერატურულად გამართულია, მაგრამ მას თეატრალურობა, ქმედითობა აკლია. ვინაიდან მე არ გახლდით საქართველოში რეპეტიციების მიმდინარეობის დროს ვერ მოვახერხე რეჟისორთან ერთად ტექსტზე მუშაობა, ამიტომაც მე გავაგრძელებ მუშაობას ტექსტზე და მხოლოდ შემდეგ დაიბეჭდება, დღევანდელი სპექტაკლი ჩემთვის, სიმართლე გითხრათ, მოულოდნელი სიურპრიზი იყო, მე ვნახე საკმაოდ მაღალ დონეზე შესრულებული, კარგი სადადგმო კულტურის წარმოდგენა. ვისურვებდი თბილისის თეატრების სცენებზეც მენახა ასეთი სპექტაკლები. პიესა დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე კიდევ უფრო აქტუალური ხდება. ადამიანების არაკომუნიკაბელურობის პრობლემა ყოველთვის იყო, მაგრამ მთავარი პრობლემა არის ის, რომ ადამიანები დიდ ქალაქებში იკარგებიან და იქცევიან ცხოველებად, ამ შემთხვევაში ვირთხებად და როგორ წირავენ ადამიანები ერთმანეთს. ვირთხებზე ნადირობა ეს ადამიანებზე ნადირობის ტოლფასია. ისინი ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები არიან, რომლებიც მრავლად არსებობენ ჩვენს ირგვლივ და მათ ვერ ვამჩნევთ, სპექტაკლი ასეთი ჩვეულებრივი ადამიანების პრობლემაზეა. ჩვენ არ გვაქვს საშუალება რომ ასეთ ადამიანებს დავუთმოთ ის ყურადღება, რასაც ისინი იმსახურებენ. ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა. დასავლური ცივილიზაციის თანამედროვე პრობლემა ახლობელი აღმოჩნდა ქართველი მაყურებლისთვისაც ამ შემთხვევაში ამ პიესის საშუალებით, ყველა აქცენტები მაყურებლის მიერ სწორად იქნა წაკითხული".

უახლოეს მომავალში საქართველოს რეგიონალური თეატრების ქსელის შეხვედრა დაგეგმილია თელავში, სადაც წარმოდგენილი იქნება ფოთელთა "ნადირობა ვირთხებზე", ხოლო შემდეგ სპექტაკლი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში იმოგზაურებს.

შპს „საქართველოს ფოსტა“ აცხადებს კონკურსს შემდეგი სახის მომსახურებაზე:

საფოსტო ყუთების დამზადება - ზომა 40/30/9სმ.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.

განცხადებების მიღება იწარმოებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2 თებერვლიდან 23 თებერვლამდე, 10.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულმა პირებმა შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს ფოსტაში“, მისამართზე: თბილისი, ვაგზლის მოედანი N2, II სართული, მარკეტინგისა და კომერციის განყოფილება, ტელ: 912142

საუკეთესო 504 გვერდი

"ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ" ქართული მოთხრობის ანთოლოგია გამოსცა

ია ვეკუა

საგამომცემლო საქმიანობაში ერთ-ერთი ყველაზე რთული მომენტი ალბათ მაშინ დგება, როდესაც საქმე კრებულს ეხება. ეს ის შემთხვევაა, როცა გამომცემელმა ყველანაირი გემოვნებისა და მოთხოვნილებების მქონე მკითხველის სურვილი უნდა გაითვალისწინოს და ამავდროულად შეინარჩუნოს ხარისხიც. "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" ახალი გამოცემა "ყველა დროის 20 საუკეთესო მოთხრობა" ქართული მოთხრობის ანთოლოგიაა. მასში სხვადასხვა დროის ოცი ქართველი პროზაიკოსის თითო ნაწარმოებია შესული და ამით ქართული ლიტერატურის მცირე, თუმცა შეძლებისდაგვარად მაქსიმალური სურათია შექმნილი.



კრებული 504 გვერდს მოიცავს და თუ მის სარჩევს გადავავლებთ თვალს, მკითხველს ყველა გვერდი დააინტერესებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი ზარმაცი ან უბრალოდ გაზარმაცებული მკითხველისთვისაა შექმნილი, რადგან თუ გავითვალისწინებთ, რომ ავტორების მხოლოდ საუკეთესო ნაწარმოებებს აერთიანებს, ნაწილობრივ მაინც არის იმის გარანტი, რომ მკითხველში მათი დანარჩენი შემოქმედების გაცნობის სურვილს აღძრავს.

გადავხედოთ სარჩევს:

კრებული ეპოქების მიხედვითაა დაყოფილი, თვითოეული ეპოქა კი მთლიანი სურათის შესაქმნელი დეტალია. კრებულს ილია ჭავჭავაძის "სახრჩობელაზედ" ხსნის და მისი თანამედროვე ავტორები მოსდევენ: ალექსანდრე ყაზბეგის "ელისო", ვაჟა-ფშაველას "შვლის ნუკრის ნაამბობი", დავით კლდიაშვილის "სოლომან მორბელაძე". შემდეგ მოდის ნიკო ლორთქიფანიძის "რაინდები", მიხეილ ჯავახიშვილის "ჩანჩურა", გრიგოლ რობაქიძის "ენგადი", ლეო ქიაჩელის "თავადის ქალი მაია", დემნა შენგელაიას "მორდუ", გიორგი ლეონიძის "ნატვრის ხე", რევაზ ინანიშვილის "ლარა", ნოდარ დუმბაძის "ძაღლი", რეზო ჭეიშვილის "ჭა", გურამ რჩეულიშვილის "ალავერდობა", ჯემალ ქარჩხაძის "იგი", გურამ დოჩანაშვილის "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა", ნუგზარ შატაიძის "9 მარტი", ნაირა გელაშვილის "მივემგზავრები მადრიდს", კოტე ჯანდიერის "გლობალიზაცია" და კრებულის ბოლო ავტორი - აკა მორჩილაძე მოთხრობით "ჩემი ცოლის რომანი".

კრებულის შედგენაზე რედაქტორები ბაკურ სულაკაური, მალხაზ ხარბედია და თეა ქიტოშვილი მუშაობდნენ. ყველა მათგანს ოცეულის საკუთარი ვერსია ჰქონდა, თუმცა საბოლოოდ ზემოთ ჩამოთვლილ ნაწარმოებებზე შეაჩერეს არჩევანი.

მალხაზ ხარბედია: "მოთხრობები, რომლებიც ამ ანთოლოგიაშია თავმოყრილი, რამდენიმე ნიშნით ერთიანდებიან. პირველ რიგში მნიშვნელოვანია მათი ხარისხი და ლიტერატურული ღირებულება, როგორც ავტორის შემოქმედებაში, ისე ზოგადად ქართული ლიტერატურისთვის. ამ კრებულით გვინდოდა მკითხველისთვის კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა ყველასთვის კარგად ცნობილი, უკვე კლასიკად ქცეული და ამავდროულად გაგვეცნო და თავიდან აღმოგვეჩინა ნაკლებად ცნობილი, თითქმის მივიწყებული ნაწარმოებები. კრებულზე მომუშავე რედაქტორების გუნდი მოთხრობებს სწორედ ამ მიმართულებით ვარჩევდით. ბევრ რამეზე ვთანხმდებოდით, რამდენიმე მოთხრობაზე კი ვერც მივაღწიეთ საბოლოო შეთანხმებას. სწორედ ამიტომ, კრებულში რამდენიმე ისეთი მოთხრობაა შეტანილი, რომელსაც მე არც ერთ შემთხვევაში არ შევიტანდი საუკეთესო ქართული მოთხრობის ანთოლოგიაში. მაგალითად, კრებულში დავით კლდიაშვილის "სოლომონ მორბელაძის" ნაცვლად აუცილებლად "მიქელას" შევიტანდი, ნიკო ლორთქიფანიძის "რაინდების" ნაცვლად "მრისხანე ბატონს", მიხეილ ჯავახიშვილის "ჩანჩურას" მაგიერ "ორ შვილს", ხოლო ნუგზარ შატაიძის "9 მარტს" "გეგათ ოლათი" ან "ელიქარით" ჩავანაცვლებდი. სხვა მოთხობების შეტანა შეიძლებოდა რევაზ ინანიშვილისა და აკა მორჩილაძის შემთხვევაშიც. შეიძლებოდა სხვა ავტორების დამატებაც, მათ შორის ჩვენი თანამედროვე, ახალგაზრდა პროზაიკოსების. მთლიანობაში კი კრებული ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი გამოვიდა, რაც ქართველი მკითხველისთვის ნამდვილად საჩუქარია."

კრებული ინფორმაციულ დატვირთვასაც ითავსებს და დამწყებ მკითხველს მასში თავმოყრილი ავტორების ბიოგრაფიებსაც შეახსენებს. წიგნის ყდის დიზაინი ამ საქმის ოსტატ თამაზ ვარვარიძეს ეკუთვნის.

გონის სუვერენობა

ნინო მამარდაშვილი

აქ წარსულს თანამედროვეობა ერწყმის, იკვეთება მომავალი.. აქ იქმნებოდა მე-20 საუკუნე, ვითარდება 21-ე.. ქვეყნის დამოუკიდებლობასთან ერთად აქ ყალიბდებოდა ქართველი ერი, ქართული გონის სუვერენობა.

აქ, თბილისის სახლებში, ცხოვრობდნენ პირველი პროფესორები: დიმიტრი უზნაძე, გიორგი ჩუბინიშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი.

შემოქმედებითმა ჯგუფმა: ბაქარი შარაშელიძემ, ნიკოლოზ აბულაშვილმა, კაკო ვაშალომიძემ, ზურა ყიფშიძემ და რეჟისორმა ლელა წიფურიამ სახელმწიფო უნივერსიტეტის 90 წლის იუბილეს ფილმი - "გონის სუვერენობა" მიუძღვნეს.

დღეს, უნივერსიტეტის კედლები ახალ გონს მასპინძლობს, ახალ დროებასა და ახალ საქართველოს ქმნის.

როგორი იყო "მეცნიერების თეთრი ტაძარი", როგორია დღეს რევოლუციების, რეფორმების, ცვლილებებისა და განსხვავებული საზოგადოებრივი მოსაზრებების შემდეგ...

"უნივერსიტეტი დღესაც წარმოადგენს ეროვნული იდენტობის ბურჯს. მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე ქვეყნის განვითარების პროცესში უნივერსიტეტი თამაშობდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან როლს და ეს ასეა დღესაც.

ფილმი შედგება 2 ნაწილისგან.თუ პირველი 10 წუთი ისტორიას და დაარსებას ეძღვნება, დარჩენილი 50 წუთი ეთმობა თანამედროვე საუნივერსიტეტო ცხოვრების ჩვენებას" - ლელა წიფურია.

ფილმი არამარტო კარგი საარქივო მასალაა დღევანდელი ისტორიისა, იგი შემეცნებით ხასიათსაც ატარებს და საუბრობს იმ პრობლემებზე, რომელიც საზოგადოებაში ეჭვებსა და უთანხმოებას იწვევდა. პროფესორების უკმაყოფილება ვარდების რევოლუციის შემდგომი რეფორმების მიმართ. ცხადია, პროგრესული ახალი რეფორმები ყველას მიერ ერთნაირად არ იქნებოდა აღქმული, თუმცა მარიკა ლორთქიფანიძე ფილმში გარკვევით უსვამს ხაზს, რომ საერთაშორისო გლობალურ პროცესებში ქართველობის შენარჩუნება, მხოლოდ ჩვენი კულტურის შენარჩუნებითაა შესაძლებელი.

ფილმში საუბარია უამრავ ახალ პროექტზე, ახალ იდეაზე. ძველი "მეცნიერების თეთრი ტაძრის" სტატუსის, ივანე ჯავახიშვილის ოცნების განხორციელებისათვის თითქოს ყველა წინაპირობა იქმნება.

"სიმართლე გითხრათ, ცოტა სხვანაირად ვიყავი განწყობილი, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ფილმში შეკვრა ყველაფრისა ერთად. უნივერსიტეტი ხომ ამხელა ორგანიზაციაა, მაგრამ ვხედავ, რომ ფილმი შეკრულია, მაქსიმალურად კარგადაა ნაჩვენები და კარგად ასახავს მის მნიშვნელობას, ადგილს და სურვილს, რომ მომავალი წარმატებული იყოს"- მარიკა ლორთქიფანიძე.

წარმატებული სვლები აწმყოში წარმატებული მომავლის საწინდარია. დღევანდელი განათლების დონე თავისი ხელით წერს ქვეყნის მომავალს. ასე, რომ უნივერსიტეტის წარმატება არამარტო ფილმის რეჟისორის სურვილი და ხედვაა, არამედ თითოეული ჩვენთაგანის წარმატება და უკეთესი მომავლის იმედი.

ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

გავარსით შემკული მძივი

არქეოლოგიურ გათხრებს თან სდევს როგორც მნიშვნელოვან აღმოჩენასთან დაკავშირებული დიდი სიხარული, ისე ხშირ შემთხვევაში დიდი იმედგაცრუება.

საბადურის ბორცვზე პირველი დაზვერვითი სამუშაოები ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში ჩატარდა, თუმცა მათ მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. მომდევნო წლების განმავლობაში მდ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ჯ.ნადირაძე არაერთხელ დაუბრუნდა ამ ადგილს. ვინ იცის რამდენჯერ გაესაუბა სოფლის ხანდაზმულ მკვიდრს ნინა ქველაძეს. მოხუცი ჰყვებოდა, თუ როგორ იპოვა ნახევარგირვანქიანი ოქროს ნივთი, რომელიც ომამდე ტორქსინში ჩააბარა და სანაცვლოდ ბევრი "ფართალი მიიღო". მისი მონაყოლით ჩამოზვავებულ მიწაში ოქროსთან ერთად სპილენძის ქვაბები იყო, რომლებიც დიდხანს სხვენზე ეყარა, ხოლო შემდგომ დაიკარგა. აღწერილობის მიხედვით კოლხური სიტულები უნდა ყოფილიყო, "ლურჯი სახელური ცხოველის თავს გავდა"-ო. სრულიად აშკარა იყო, რომ მოხუცი სიმართლეს ამბობდა. იმაზე. რომ ეს ტერიტორია უძველეს წარსულში მჭიდროდ იყო დასახლებული საბადურის ბორცვსა და მის შემოგარენში მოგროვილი ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის სამეთუნო ნაწარმის უამრავი ნატეხიც მოწმობდა და აი 1982 წელს საირხის სკოლის მოწაფემ ჯ.ნადირაძეს რკინის ნივთი მიუტანა, რომელიც მან საბადური ფერდობზე იპოვა. ეს იყო დიდი ზომის ლურსმანი, რომელიც ორიათასხუთასი წლის წინ იყო ხმარებაში და ტაძრებისა და აკლდამების ხის კონსტრუქციების გასამაგრებლად გამოიყენებოდა. თავად ბორცვის ძირში არქეოლოგებს ქვის დიდი გროვა დახვდათ, მათ შორის დაკუთხული კვადრებიც შეინიშნებოდა. დაიწყო ინტენსიური სამუშაოები...

საირხის ანტიკური ხანის სამაროვანზე გათხრილი პირველი სამარხი ძლიერ დაზიანებული იყო... ინვენტარი ნაკლული... სავარაუდოა, რომ დაგროვილი ქვები სამარხის ქვაყრილის ნაშთს წარმოადგენდა. ხოლო ქვის ამოღების შემდგომ წარმოქმნილი ორმო ბავშვებს სათამაშო ადგილად გადაექციათ, სადაც ათასნაირი ძველი ნივთი მიუზიდიათ. მათ შორის იყო მიწის სქელი ფენით დაფარული თუნუქის ღუმელი, მისგან 15 სმ მიწის სიღრმეში კი ელაგა შესანიშნავად ნახელავი ოქროსა და ვერცხლის ნივთები.

მუშაობის პროცესში შესამჩნევი გახდა, რომ სამარხი ნაწილობრივ უკვე გაძარცვული იყო. ჩვენ რათქმა უნდა, დავინტერესდით ბავშვებს ან ქვის მთხრელებს ლურსმნის გარდა კიდევ ხომ არაფერი ჰქონდათ აქ ნაპოვნი. უხალისოდ გვპასუხობდნენ. ვიღაცას რაღაცა ახსოვდა და აღარც ახსოვდა ოქროსფერი საყურეებისა და ლურჯი ნივთების შესახებ. დიდი შეგონების შემდეგ, მხოლოდ ერთ ნივთს, შესანიშნავად ნახელავ ბრინჯაოს ლაგამს მიაგნეს და მოგვიტანეს.

სამარხი ძვ. წ. IV-III სს-ს მიჯნით დათარიღდა. სწორედ ამ სამარხის კუთვნილი ერთერთი სამკაულია აქ წარმოდგენილი, გავარსით შემკული მძივი. იგი სფეროსებური ფორმისაა. მიღებულია ორი გამოტვიფრული ნახევრის ერთმანეთთან მირჩილვის შედეგად. მძივის ზედაპირი გავარსის რომბულუჯრედოვანი ბადითაა დაფარული. მისი სიმაღლე თერთმეტი მილიმეტრია, ხოლო დიამეტრი თორმეტი.

მანანა წერეთელი

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ "ᲡᲐᲑᲐ" - 2009

გამომცემლობების და ავტორების საყურადღებოდ

თიბისი ბანკი აცხადებს ყოველწლიურ ლიტერატურულ კონკურსს "საბა", რომელიც წელს უკვე მეშვიდედ გაიმართება. წლევანდელ კონკურსზე მოხდება გასული, 2008 წლის ლიტერატურული პროდუქციის შეფასება.

შესაბამისად, გამომცემლობებს და ავტორებს გთხოვთ, წარმოადგინოთ კონკურსზე ის წიგნები, რომლებიც თქვენს მიერ 2008 წლის განმავლობაში გამოიცა.

ყოველწლიურ ლიტერატურულ პრემია "საბას" მიზანია გასული ერთი წლის ლიტერატურული პროცესების შეფასება და წლის საუკეთესო ნაწარმოებების გამოვლენა.

პრემია "საბა"-ზე განიხილება 2008 წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული, პიესა), ასევე უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი და ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშები.

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲒᲐᲘᲪᲔᲛᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲘᲜᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ:

- წლის საუკეთესო რომანი
- წლის საუკეთესო პოეტური კრებული
- წლის საუკეთესო პროზაული კრებული
- წლის საუკეთესო თარგმანი
- წლის საუკეთესო პიესა
- წლის საუკეთესო კრიტიკა, ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა
- წლის საუკეთესო დებიუტი

ყველა ამ ნომინაციის მიხედვით საუკეთესო წიგნს და ავტორს გამოავლენს 5-კაციანი კომპეტენტური ჟიური, რომლის ვინაობაც კონფიდენციალურია დაჯილდოების ცერემონიალამდე.

"საბას" დაჯილდოების ცერემონიალი 2009 წლის ივნისში გაიმართება. გამარჯვებულ ავტორებს, სპეციალურ პრიზთან ერთად, გადაეცემათ ფულადი პრემიები. საპრემიო ფონდი შეადგენს 36 ათას ლარს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს თიბისი ბანკი გადასცემს.

იმ გამომცემლობებს და ავტორებს, რომლებმაც 2008 წლის განმავლობაში გამოსცეს წიგნები ზემოთჩამოთვლილი ნომინაციების შესაბამისად, გთხოვთ **2 თებერვლიდან 20 თებერვლამდე მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია: წიგნის სახელწოდება, ავტორი, გამომცემლობა, ნომინაციის დასახელება.**

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგ რეკვიზიტებზე:

ფაქსი: 772 774
e-mail: pr@tbcbank.com.ge

ან წერილობითი სახით
მოგვაწოდოთ მისამართზე:
თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. 16, მე-7 სართული,
"თიბისი ბანკის" საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამსახური

საკონტაქტო პირი:
მაია ძირკველიშვილი,
თიბისი ბანკის საზოგადოებასთან
ურთიერთობის
სამსახურის უფროსი

ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲝ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ

რამდენიმე ფატალური შემთხვევა გეიმერების ცხოვრებიდან

მართალია, სიტყვა "თამაში" გართობასთან და დროის სასიამოვნო გატარებასთან ასოცირდება, ხშირად ის შესაძლოა ფატალურადაც დასრულდეს. საქმე ცხადია ვიდეო თამაშებს ეხება და არა წრეში ბურთს ან კეგლს. ქვემოთ იმ რამდენიმე შემთხვევის შესახებ მოგითხრობთ, რომლებიც თავგადაკლულ გეიმერებს გადახდათ თავს, ზოგი მათგანი კი ახლა ან ციხეშია ან ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობს.

2008 წლის გაზაფხულზე 17 წლის ამერიკელი დანიელ პეტრიჩი დამნაშავედ ცნეს საკუთარი დედის მკვლელობისთვის და მამის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობისთვის. საქმე ისაა, რომ ეს ჩვენი დანიელი შუტერ Halo 3-ის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა და დღე და ღამ ეკრანის წინ იჯდა. ვისაც ეს შუტერი უთამაშია, ალბათ დაგვეთანხმება, რომ თამაში მეტად საინტერესო, დინამიკური და ჩამთრევია, ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ როდესაც დანიელს მშობლებმა ცოტა ხნით შესვენება და მეცადინეობა მოსთხოვეს, მოზარდი იმდენად გაბრაზდა, რომ მშობლები სასიკვდილოდ გაიმეტა - მამის ოთახიდან თოფი მოიპარა და ორივეს შუბლში დაუმიზნა. ჰოდა ზის ახლა დანიელი საკანში და ხელში ჯოისტიკის ნაცვლად შავი პური და წყალი უჭირავს.

ივლისში განაჩენი გამოუტანეს 16 წლის ჰიზერ ტომასს, რომელმაც იმდენი ითამაშა "მორტალ კომბატი", რომ გადაწყვიტა, თამაშში ნაჩვენები ილეთები რეალობაში გამოეყენებინა. მიზანში კი რატომღაც თავისი პატარა დაიკო ამოიღო და საბრალო ისე მიბეგვა, გოგონამ გონება დაკარგა და მრავალჯერადი ტრავმებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამწუხაროდ, ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა, მისმა დამ კი ციხეში 18 წელი უნდა გაატაროს.

ტოკიოს მაცხოვრებლებს ალბათ არასდროს დაავიწყდებათ ის ხოცვა-ჟლეტა, რომელიც 2008 წლის 8 ივნისს მოხდა. ახლაგაზრდა მამაკაცმა ჯერ რამდენიმე ფეხით მოსიარულეს გადაუარა მანქანით, შემდეგ კი ხალხს დანით ხელში დაერია და შვიდი ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმა. ბოლოს კი გაიარკვა, რომ 25 წლის მამაკაცი ვიდეო თამაშების, კერძოდ Grand Theft Auto-ს დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა და მათი შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა თავი ვეღარ გააკონტროლა.

არის შემთხვევები, როდესაც მოთამაშეები საკუთარ თავსაც ვნებენ. ამ მხრივ აზიის ქვეყნები ლიდერობენ, სადაც დიდი პოპულარობით სარგებლობს სათამაშო მარათონები, რაც რამდენიმე საათის განმავლობაში უწყვეტ თამაშს ითვალისწინებს. მაგალითად, 2005 წელს 28 წლის სამხრეთ კორეელი გულის შეტევით გარდაიცვალა - იგი 50 საათის განმავლობაში კომპიუტერთან იჯდა და შეუსვენებლად თამაშობდა. ამ მხრივ ყველაზე ცნობილი შემთხვევა კი 2002 წელს მოხდა, როდესაც 16 წლის გოგონა Diablo II-ს იმდენ ხანს თამაშობდა, ვიდრე ორგანიზმი არ გამოეფიტა. იგი კომპიუტერთან გარდაიცვალა, სწორედ იმ პოზაში, რომელშიც თამაშობდა.

მოთამაშეების მხრიდან ამ მიმართულებით გააქტიურება განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა შესამჩნევი, რაც Grand Theft Auto IV გამოვიდა. თამაშის რელიზიდან ორი დღის შემდეგ ტაილანდელმა მოზარდმა ტაქსის მძღოლი სრულიად უმიზეზოდ მოკლა და ეს სცენა სწორედ ისე გაითამაშა, როგორც ერთი დღით ადრე თამაშში გააკეთა. როგორც არასრულწლოვანმა დამნაშავემ შემდგომში აღიარა, ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ აინტერესებდა, ისევე ადვილად თუ მოკლავდა ადამიანს, როგორც ამას თამაშის მთავარი გმირი აკეთებს.

როდესაც გეიმერების მიერ თამაშების ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებებზეა საუბარი, თამაშების მწარმოებელი კომპანიები ცდილობენ ამ ინფორმაციებს ჭორის კვალიფიკაცია მიანიჭონ. მათი განცხადებით, ყველაფერი კონკურენტი კომპანიების შეთითხნილია და მათ დისკრედიტაციას ითვალისწინებს. პარალელურად ზოგი ქვეყნის მთავრობა ცდილობს კანონმდებლობის გამოყენებით აკრძალოს ამა თუ იმ თამაშის მათ ქვეყანაში გაყიდვა. თავგადაკლული გეიმერებისთვის კი ერთი რჩევა გვაქვს - ეს ხომ მხოლოდ თამაშია, ამიტომ ნუ ეცდებით ვირტუალური სამყაროს გმირად გადაქცევას, მაინც არაფერი გამოგივათ...

ᲨᲝᲞᲡᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ "ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ" - ᲞᲐᲑᲚᲝ

სასამართლოში პიკასოს ნამუშევრებს ნიუ იორკის მუზეუმები "დაიცავენ"

მხატვარ პაბლო პიკასოს ორი ადრეული ნამუშევარი - "მულენ დე ლა გალეტ" (1900 წ.) და "ბიჭი, რომელსაც ცხენი მიჰყავს" (1906 წ.), გერმანიის მოქალაქე იულიუს შოპსსა (Julius Schoeps) და ნიუ იორკის ორ მუზეუმს შორის სასამართლო განხილვის მიზეზი გახდა.

შოპსის პირველი საგამოძიებო მოსმენა, რომელიც თანამედროვე ხელოვნებისა და სოლომონ გუგენჰაიმის სახელობის მუზეუმებისადმია მიმართული, 2009 წლის 2 თებერვალს გაიმართება. ამის შესახებ, სააგენტო "Reuters"-ი გვამცნობს.

შოპსი ირწმუნება, რომ ის მდიდარ ებრაელ ბანკირთა - მენდელსონ-ბარტოლდის ოჯახის მემკვიდრეა. მათ კოლექციაში არაერთი სადაო ნახატი ინახება.

იულიუს შოპსის სიტყვების თანახმად, ბანკირმა რობერტს ერნსტ ფონ მენდელსონ-ბარტოლდმა, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, პიკასოს ნამუშევრები ჟუსტენ ტანჰაიზერს (Justin Thanhauser) მიჰყიდა. 1936 წელს, ტანჰაიზერისგან "ბიჭი, რომელსაც ცხენი მიჰყავს" ამერიკელმა მედია-მაგნატმა უილიამ პეილიმ იყიდა, რომელმაც მოგვიანებით, 1964 წელს, ის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს - "MoMa" აჩუქა. ერთი წლით ადრე, ტანჰაიზერმა გუგენჰაიმის მუზეუმს "მულენ დე ლა გალეტი" უსახსოვრა.

2007 წელს ორივე მუზეუმმა სასამართლოში იჩივლა. ნიუ იორკის კოლექციათა ადვოკატები ირწმუნებოდნენ, რომ შოპს ნახატებზე პრეტენზიის გამოთქმის უფლება არ ჰქონდა, რადგანაც ისინი სრულიად კანონიერი გზით იყო გაყიდული. ამ განცხადების შემდეგ, მუზეუმებმა შოპსის პრეტენზიებისგან დროებით ამოისუნთქეს. თუმცა, ახალ საგამოძიებო შეხვედრაზე მან საკმარისი მტკიცებულება მოაგროვა, რათა სასამართლოს საქმე განსახილველად მიეღო.

აღსანიშნავია, რომ იულიუს შოპსი მენდელსონ-ბარტოლდის კოლექციიდან გაყიდული და სახელმწიფო თუ კერძო კოლექციებში დაცული ნამუშევრების სასამართლოს ძალით დაბრუნებას პირველად არ ცდილობს. მაგალითად, 2007 წელს მან ვერ გამოითხოვა პაბლო პიკასოს "ანხელ ფერნანდეს დე სოტოს პორტრეტი", რომლის გაყიდვასაც "Christie's" აუქციონზე კომპოზიტორი ენდრიუ ლოიდ ვებერი ცდილობდა. სასამართლომ კომპოზიტორი ნამუშევრის კანონიერ მფლობელად მიიჩნია და ისიც მიუთითა, რომ შოპსი მენდელსონ-ბარტოლდების ოჯახის კანონიერ მემკვიდრედ არ უნდა ითვლებოდეს.

ეს ყველაფერი კი, იმით დაიწყო, რომ ბრიტანელმა კომპოზიტორმა ლონდონის უმაღლეს სასამართლოს სიმართლის დასამტკიცებლად მიმართა, რათა პაბლო პიკასოს "ანხელ ფერნანდეს დე სოტოს პორტრეტის" კანონიერი წესით პატრონობის უფლება მოეპოვებინა. 2007 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში, სასამართლომ გადაწყვეტილება ვებერისა და მისი საქველმოქმედო ფონდის სასარგებლოდ მიიღო. ნიუ იორკის შტატის ამ გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გაზეთმა - "The Independent" გაავრცელა.

ენდრიუ ლოიდ ვებერმა, რომელიც ავტორია მიუზიკლებისა "კატები", „იესო ქრისტე - სუპერვარსკვლავი" და სხვა, 1995 წელს "ანხელ ფერნანდეს დე სოტოს პორტრეტი" (1903 წელი, "ცისფერი პერიოდი") 14,1 მილიონ ფუნტ სტერლინგად (დაახლოებით, 22,5 მილიონი დოლარი) შეიძინა. 2006 წელს, კომპოზიტორმა ეს ნამუშევარი გასაყიდად ნიუ იორკის "Christie's" აუქციონზე გაიტანა იმ იმედით, რომ 40-60 მილიონ დოლარს აიღებდა. თუმცა, აუქციონის დასასრულს, ნიუ იორკის სასამართლომ ამ ლოტის გაყიდვა დაბლოკა, რადგანაც გაითვალისწინა გერმანიის მოქალაქის, პროფესორ იულიუს შოპსის მოთხოვნა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ 1934 წელს, ეს ნამუშევარი მისი ბაბუის პაულ ფონ მენდელსონ-ბარტოლდისგან იყო ექსპორტირებული ნაცისტების მიერ. მოგვიანებით, სასამართლომ ლოტიდან ბლოკი "მოხსნა", მაგრამ "Christie's" სახლმა მისი გაყიდვა მაინც არ გარისკა.

2007 წლის შემოდგომაზე, ნიუ იორკის შტატის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლემ გადაწყვეტილება კომპოზიტორის სასარგებლოდ მიიღო. მან გაითვალისწინა შემდეგი ფაქტები: ვებერი იყო კეთილსინდისიერი მყიდველი, რომელმაც ტილოს წარმომავლობის შესახებ არაფერი იცოდა - მას ოთხი აუქციონი ჰქონდა გავლილი; "დე სოტოს პორტრეტი" ნახსენები არ იყო შოპსის შორეული ბაბუის ანდერძში; შოპსი არ წარმოადგენს მენდელსონ-ბარტოლდის ოჯახის კანონიერ მემკვიდრეს...

"ანხელ ფერნანდეს დე სოტოს პორტრეტი" პაბლო პიკასოს "ცისფერი პერიოდის" ცნობილი ნამუშევარია, რომელიც კერძო კოლექციონერების ხელში იყო. ენდრიუ ლოიდ ვებერს ეს ნახატი ბრიტანეთის მუზეუმების გამოფენებზე არაერთხელ წარმოუდგენია.

სპორტი

მზადება და ჭიდაობა მეზობლებში

ბერა ბერაძვილის ფოტო

მინდორაშვილი და კომპანია ევროპისთვის მზადებას წახკაძორით იწყებს.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა ვილნიუსის ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისს და იმავდროულად სეზონის პირველ შეკრებას წახკაძორით შეუდგა. აი, ნაკრების კანდიდატებით შემდგარ გუნდს კი ანკარას საერთაშორისო ტურნირში (7-8 თებერვალი) მონაწილეობა დაუგეგმავს.

წახკაძორის ოლიმპიურ ბაზაზე ორკვირიან საერთო ფიზიკურ მზადებას დღეიდან ის სპორტსმენები შეუდგნენ რომელთაგანაც ევროპის ჩემპიონატის შემადგენლობა უნდა დაკომპლექტდეს. სომხურ შეკრებაზე არიან საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ის წევრებიც, რომლებმაც საქართველოს ჩემპიონატი გამოტოვეს. რევაზ მინდორაშვილის, გიორგი გოგშელიძის, ოთარ თუშიშვილისა და ბესიკ გუჩაშვილის გარდა, განაცხადში საერთაშორისო ფედერაციისგან დისკვალიფიცირებული დავით მოძმანაშვილიცაა. ევროპის ჩემპიონი და შემდგომ უკვე აკრძალული პრეპარატის მიღებაში მხილებული მძიმეწონოსანი დღემდე აქტიურად ვარჯიშობს იმ იმედით, რომ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მამები დანაშაულს აპატიებენ, რაც მას სარბიელზე დაბრუნების საშუალებას მისცემს (საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას იმედი აქვს, რომ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია (ფილა) მოძმანაშვილს ორწლიან დისკვალიფიკაციას გაუნახევრებს. ამ შემთხვევაში კი მძიმეწონოსანს შემოდგომაზე, მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის საშუალება მიეცემა. რედ.).

და კიდევ, წახკაძორის შეკრების შემდეგ გუნდი თებერვლის ბოლოს კიევის საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯავს საკუთარ ძალებს.

გამორიცხული არაა უკრაინული პირველობის შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ ვილნიუსის ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელთა ვინაობაც დაასახელოს. იქამდე კი სახელმძღვანელოდ ბორჯომულ შეკრებასაც მიმართავს.

რაც შეეხება ნაკრების სხვა კანდიდატებს, ისინი სომხური შეკრების პარალელურად, ანკარას საერთაშორისო ტურნირზე გასამგზავრებლად ემზადებიან.

საქართველოს ნაკრები თურქეთში თორმეტი მოჭიდავით წარსდგება. თითოეული მათგანი ძირითადი ნაკრების კანდიდატია და შესაბამისად ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობის შანსიც გააჩნიათ. ევროპის ჩემპიონატამდე კი ორი თვეა. ასე რომ, ლიტვაში გამგზავრებამდე ნაკრების ხელმძღვანელობას საკმარისი დრო აქვს ძირითადი ბირთვის გამოსავლენად. უფრო სწორად, პირველი ნომრები უახლოეს შეკრებებსა და საერთაშორისო ტურნირებზე გამოიკვეთებიან.

"ბორჯღალოსნები" ჩერჩილის თასზე ითამაშებენ

ირბ-ის გადაწყვეტილებით, საქართველოს ეროვნული ნაკრები ითამაშებს პრესტიჟულ ტურნირზე - ჩერჩილის თასზე, რომელიც კანადასა და ამერიკაში ივნისის დასაწყისში გაიმართება. ჯგუფში ჩვენი მეტოქეები იქნებიან: ირლანდიის "ა" ნაკრები და კანადის ეროვნული ნაკრები. მეორე ჯგუფში თამაშობენ აშშ-ის ეროვნული ნაკრები, ინგლისისა და არგენტინის "ა" ნაკრებები. ჯგუფური ეტაპის შემდეგ გუნდებს კიდევ ერთი თამაშის საშუალება ექნებათ. მეტოქე გაირკვევა დაკავებული ადგილის მიხედვით. საქართველოს ნაკრებს ასეთი რანგის ტურნირზე, თუ არ ჩავთვლით მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს, არ უთამაშია. ტიმ ლეინი: "ჩერჩილის თასის გათამაშება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირია. ერთა თასის დასრულების შემდეგ მომავალი წლის დასკვნითი ეტაპის სამზადისისთვის უდავოდ დიდი მნიშვნელობა ექნება ირლანდიის "ა" ნაკრებთან და კანადის ეროვნულ ნაკრებთან თამაშებს. გარდა ამისა, ვითამაშებთ კიდევ ერთ მატჩს. ეროვნული ნაკრების ბირთვი სწორედ ერთა თასის მიმდინარე თამაშებისას გამოიკვეთება. ამ ბირთვის გამოცდის საუკეთესო საშუალება კი სწორედ ჩერჩილის თასი მგონია. აქ ნათამაშევი მატჩები ჩვენთვის ერთგვარი ტესტი იქნება - გავარკვევთ, თუ რა მიმართულებით დასჭირდება ჩვენს გუნდს შემდგომში მუშაობა." "ა" პული: კანადა, საქართველო, ირლანდიის "ა" ნაკრები. "ბ" პული: არგენტინის "ა" ნაკრები, ინგლისის "ა" ნაკრები, აშშ. 6 ივნისი. არგენტინის "ა" ნაკრები - ინგლისის "ა" ნაკრები. საქართველო - კანადა. 10 ივნისი. არგენტინის "ა" ნაკრები - აშშ. ირლანდიის "ა" ნაკრები - კანადა. 14 ივნისი. ირლანდიის "ა" ნაკრები - საქართველო. ინგლისის "ა" ნაკრები - აშშ. გადამწყვეტი თამაშები 20 ივნისს გაიმართება.

"ანჟიმ" ქართული ტრიო გაიფორმა

სამმა ქართველმა ფეხბურთელმა - ოთარ მარცვალაძემ, კახა ალადაშვილმა და სანდრო იაშვილმა რუსეთის პირველ ლიგაში მოასპარეზე მახაჩყალის "ანჟისთან" კონტრაქტები ოფიციალურად გააფორმეს.

გასულ წელს მარცვალაძე და ალადაშვილი კიევის "დინამოში" ირიცხებოდნენ, მაგრამ თამაში მხოლოდ "დინამო 2"-ში უწევდათ. რაც შეეხება იაშვილს, იგი ბოლოს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, ბოლნისის "სიონში" თამაშობდა.

თუ რა ვადით დადეს ხელშეკრულება ქართველმა ფეხბურთელებმა დაღესტნურ კლუბთან, ამის შესახებ "ანჟის" ვებგვერდი არაფერს იუწყება.

ამრიგად, მომავალ სეზონში მახაჩყალურ გუნდში, რომლის მთავარი მწვრთნელი ომარ თეთრაძეა, ერთბაშად 8 ქართველი ფეხბურთელი ითამაშებს: გოჩა ხოჯავა, გიორგი ნავალოვსკი, რეზო ჯიქია, ედიკ საჯაია, ზურაბ არზიანი, ოთარ მარცვალაძე, კახა ალადაშვილი და სანდრო იაშვილი.

გვაზავა საუკეთესო ხუთეულშია

28 წლის ქართველი შემტევი ნახევარმცველი ლევან გვაზავა, რომელიც გასულ სეზონში "ლუჩენერგიაში" გამოდიოდა, გროზნის "ტერეკში" ჩაირიცხა. მან პირველი ვარჯიში უკვე ჩაატარა გუნდის ძირითად შემადგენლობასთან ერთად. "როცა აეროპორტში თავად კლუბის პრეზიდენტი გხვდება, ეს არაა პატარა საქმე. მოხარული ვარ, რომ გაურკვევლობის რთული პერიოდი წარსულს ჩაბარდა, რომ არჩევანი ჩემზე გაკეთდა. მოვხვდი ისეთ გუნდში, რომელიც თანამედროვე, შემტევ ფეხბურთს თამაშობს, რაც საშუალებას მაძლევს ჩემი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვავლინო," - ამბობს გვაზავა. თავის მხრივ, კლუბის მთავარი მწვრთნელი ვიაჩესლავ გროზნი აცხადებს: "მიხარია, რომ ჩვენ შევძელით ლევან გვაზავას გადმობირება, რომელზეც პრემიერლიგის რამდენიმე ამბიციურ კლუბს ეჭირა თვალი. ლევანი მრავალმხრივი ფეხბურთელია, ფლობს შესანიშნავ დრიბლინგს და მინდორს კარგად ხედავს. ვფიქრობ, ის რუსეთის პერმიერლიგის საუკეთესო დისპეჩერთა ხუთეულში შედის. ამასთან, გვაზავა რუსეთის მოქალაქეა, რაც მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ლეგიონერების ლიმიტის გამკაცრებულ პირობებთან არ გვექნება საქმე. ვფიქრობ, გუნდში გვაზავას მოსვლით "ტერეკის" ნახევადაცვა მნიშვნელოვნად გაძლიერდება."

კუპერმა შემადგენლობა დაასახელა

11 თებერვალს საქართველოს ეროვნული ნაკრები ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩში მასპინძელთა ნაკრებს გაეჯიბრება.

"ჯვაროსანთა" მთავარმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც მომავალი შეხვედრისთვის მოემზადებიან.

მეკარეები: გიორგი ლომაია ("ლოკომოტივი"), როინ კვასხვაძე ("ზესტაფონი"), ზურაბ მამალაძე ("ზესტაფონი").

მცველები: უჩა ლობჟანიძე ("ზესტაფონი"), ლაშა სალუქვაძე ("რუბინი", რუსეთი), კახა კალაძე ("მილანი", იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი ("ბლექბერნ როვერსი", ინგლისი), ალექსანდრე კვახაძე ("ვიტ ჯორჯია"), გიორგი შაშიაშვილი ("შტურმი", ავსტრია), დავით კვირკველია ("რუბინი", რუსეთი).

ნახევარმცველები: ზურაბ მენთეშაშვილი ("ვენტსპილსი", ლატვია), ლუკა რაზმაძე ("ვიტ ჯორჯია"), ლევან კობიაშვილი ("შალკე 04", გერმანია), ლევან ხმალაძე ("დინამო"), დავით ოდიკაძე ("დიორ ეტო", უნგრეთი), მურთაზ დაუშვილი ("ზესტაფონი").

თავდამსხმელები: ლევან ყენია ("შალკე 04", გერმანია), ალექსანდრე იაშვილი ("კარლსრუე", გერმანია), ლევან მჭედლიძე ("პალერმო", იტალია), ბექა გოცირიძე ("დნიპრო", უკრაინა), გიორგი მერებაშვილი ("დინამო"), დავით სირაძე ("ტერეკი", რუსეთი).

არსენ ვენგერი: "არშავინის "არსენალში" გადმოსვლის ისტორია ნაკლებად მაღელვებს"

"არსენალის" მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი კომენტარს უკეთებს გაჭიანურებულ ტრანსფერს, რომელიც შეეხება სანკტ პეტერბურგის "ზენიტის" ფეხბურთელის ანდრეი არშავინის ლონდონელ "მეთოფეებში" გადასვლის საკითხს. "ვერ გეტყვით, შედგება თუ არა ეს ტრანსფერი. თუ გულახდილი ვიქნები, ეს ამბავი პირადად მე ნაკლებად მაღელვებს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ისედაც საკმაოდ გვყავს მოთამაშეები, რომელთაც მეტოქის გუნდის დაცვის გარღვევა შეუძლიათ - ფაბრეგასი, უოლკოტი, როსიცკი... მართალია, ახლა ისინი ტრავმირებულნი არიან, მაგრამ მომავალში მათზე დიდ იმედს ვამყარებ. ორშაბათი ტრანსფერების ბოლო დღეა. ვნახოთ, რა მოხდება დარჩენილ 24 საათში. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, შემიძლია გითხრათ, რომ დროის ამ მონაკვეთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს", - ამბობს არსენ ვენგერი.

დუნგამ ამაურის ბრაზილიის ნაკრებში უხმო

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა დუნგამ ტურინის "იუვენტუსის" 28 წლის თავდამსხმელ ამაურის 10 იანვარს ლონდონში იტალიის ნაკრების წინააღმდეგ გასამართ ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად უხმო.

ამით დუნგამ წერტილი დაუსვა მრავალთვიან მითქმა-მოთქმას იმის თაობაზე, თუ რომელი ქვეყნის ნაკრებში ითამაშებდა ამაური - ბრაზილიის თუ იტალიის.

პირველი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მისთვის შეიძლებოდა იტალიის ნაკრების მაისურის მორგება შეეთავაზებინა, "სკუადრას" მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ ამაურის "პალერმოში" ყოფნის დროს გამოთქვა, როდესაც ამ უკანასკნელმა 2006-08 წლებში 52 სერია-ა-ულ მატჩში 23 ბურთი შეაგდო.

იმის გამო, რომ ბრაზილიელები ნაკრებში მის გამოძახებას არ ჩქარობდნენ, იტალიაში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა ამაურის "სკუადრაში" მიწვევის იდეა. ცოტა ხნის წინ მან თავადაც ითხოვა იტალიის მოქალაქეობა, რომლის მიღების შემთხვევაში იქაურ ნაკრებში მის თამაშს წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა. მაგრამ მას იტალიური პასპორტის მიღებაზე უარი უთხრეს.

თავდაპირველად დუნგა იტალიის წინააღმდეგ მის დაყენებას არ აპირებდა, რადგან ფიქრობდა, რომ ამაური შეიძლებოდა მძლავრი წნეხის ქვეშ მოქცეულიყო. მაგრამ ლუის ფაბიანოს დაშავების შემდეგ ბრაზილიელთა თავკაცმა აზრი შეიცვალა.

"პორტუ" ნახევარმცველით გაძლიერდა

არგენტინელი საყრდენი ნახევარმცველი ანდრეს მადრიდი, რომელიც გასულ წელს პორტუგალიის "ბრაგას" ღირსებას იცავდა, მიმდინარე სეზონის ბოლომდე "პორტუში" ითამაშებს.

27 წლის ფეხბურთელი პორტუგალიაში უკვე ხუთი წელია თამაშობს და თავის დროზე "პორტუს" ახლანდელ მთავარ მწვრთნელ ჟეზუალდუ ფერეირასთან ერთად "ბრაგაში" მუშაობდა.

"პორტუში" გადასვლა ჩემს კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯია. მინდა გუნდს დასახული მიზნების განხორციელებაში დავეხმარო. პორტუგალიაში დიდი ხანია ვთამაშობ და არა მგონია ადაპტაციის მხრივ რაიმე პრობლემა შემექმნას", - განაცხადა მადრიდმა.

სეზონის ბოლოს "პორტუს" არგენტინელის სატრანსფერო უფლებების გამოსყიდვა შეეძლება.

კროოსი "ლევერკუზენში" ითამაშებს

მიუნხენის "ბაიერნმა" გერმანიის 21 წლამდელთა ნაკრების 19 წლის ნახევარმცველი ტონი კროოსი წელიწად-ნახევრით, ანუ 2010 წლის 30 ივნისამდე, ლევეკურზენის "ბაიერს" მიაქირავა.

კროოსი, რომელიც გერმანიის ამომავალ მეგავარსკვლავად ითვლება, "ბაიერნის" პირველ გუნდში 2007 წლის შემოდგომიდან თამაშობს და მის შემადგენლობაში 19 ბუნდესლიგური შეხვედრა ჩაატარა.

რაინჰაარდტისთვის სეზონი დასრულდა

გერმანიის პირველი ბუნდესლიგის მე-18 ტურში მიუნხენის "ბაიერნთან" 1:0 მოგებულ შეხვედრაში "ჰამბურგის" მცველმა ბასტიან რაინჰაარდტმა მეტოქესთან შეტაკების დროს ფეხი მოიტეხა და სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

"ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელის მარტინ იოლის თქმით, ფეხბურთელს გამოჯანმრთელებისთვის რამდენიმე თვე დასჭირდება.

33 წლის გერმანელმა მცველმა მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგაში 15 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

ასაკობრივი ნაკრებების მეტოქეები გაირკვნენ

შაბათს გერმანიის ქალაქ ფრეისინგში გაიმართა ევროპის ასაკობრივი ჩემპიონატების კენჭისყრა როგორც A , ისე B დივიზიონის გუნდებისთვის. შეგახსენებთ, რომ საქართველოს სამივე ასაკობრივი ნაკრები - ახალგაზრდული (20 წლამდელები), ჭაბუკთა (18 წლამდელები) და კადეტთა (16 წლამდელები) - B დივიზიონში გამოდიან.

კადეტთა ნაკრებს, რომელსაც გია კაზანჯიანი წვრთნის, 6-16 აგვისტოს პორტუგალიურ მადეირაში უწევს საკვალიფიკაციო მატჩების გამართვა. 16 წლამდელთა მეტოქეები ჯგუფში იქნებიან: დანია, ფინეთი, ირლანდია და ინგლისი.

კაზანჯიანის გუნდი 6 აგვისტოს ირლანდიას გაეჯიბრება, 7-ში - ინგლისს, 8-ში - დანიას და 9-ში - ფინეთს.

ჭაბუკთა ნაკრებს მიხეილ კობეშავიძის მეთაურობით 23 ივლისიდან 2 აგვისტომდე ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში მოუწევს გამოცდის ჩაბარება. ჯგუფში ჭაბუკთა მეტოქეები არიან: რუმინეთი, მონტენეგრო, შოტლანდია და ჰოლანდია. კალენდარი ასე გამოიყურება: შოტლანდია (23 ივლისი), ჰოლანდია (25), რუმინეთი (26), მონტენეგრო (27).

რაც შეეხება დავით უსტიაშვილის ახალგაზრდულ ნაკრებს, 20 წლამდელებს 16-26 ივლისს მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში უწევთ თამაში. ჯგუფში უსტიაშვილის გუნდის მეტოქეები იქნებიან: სლოვაკეთი, პორტუგალია, ლუქსემბურგი და შვედეთი. კალენდარი: პორტუგალია (16 ივლისი), ლუქსემბურგი (18), სლოვაკეთი (19), შვედეთი (20).

"ქორებმა" გამარჯვების გემო გაიხსენეს

ფაჩულიამ კარტერის გუნდი დაამარცხა.

NBA-ს რეგულარულ სეზონში ზედიზედ სამი წაგების შემდეგ ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსმა" საკუთარ "ფილიპს არენაზე" ვინს კარტერის "ნიუ ჯერსის" უმასპინძლა და რეგულარული ჩემპიონატის 27-ე გამარჯვება იზეიმა.

მატჩის პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. "ქორებმა" თამაშის ბედი მესამე და მეოთხე პერიოდების მიჯნაზე გადაწყვიტეს. ამ ეპიზოდში "ატლანტამ" მეტოქეს სპურტი (10:1) მოუწყო და, შეხვედრაში პირველად, 10 ქულაზე მეტი სხვაობა დააფიქსირა - 82:71. ამ გაქცევაში თავისი წვლილი შეიტანა ფაჩულიამაც, რომელმაც თანაგუნდელებს ორი ზუსტი საჯარიმო შეაწია.

მატჩის დარჩენილ დროში ატლანტელებმა კიდევ უფრო გაზარდეს უპირატესობა და საბოლოოდ 17 ქულით - 105:88 გაიმარჯვეს.

სტატისტიკით თუ ვიმსჯელებთ, ქართველმა ცენტრმა საკუთარ შესაძლებლობებზე ნაკლებად ითამაშა. ზაზა ფაჩულია ატლანტელთა სასტარტო შემადგენლობაში იყო და მოედანზე გატარებულ 26.46 წუთში მხოლოდ 7 ქულას, 3 მოხსნასა და 1 შედეგიან გადაცემას მოუყარა თავი. ამასთან, 3 პერსონალური შენიშვნა მიიღო და ერთხელ შეცდა. ქართველ ცენტრს თამაშიდან საერთოდ არ უსვრია (26.46 წუთისთვის, ცოტა არ იყოს, უჩვეულო შემთხვევაა) და შვიდივე ქულა საჯარიმო ტყორცნებით მიითვალა. ამ დროს ის მხოლოდ ერთხელ შეცდა.

"ატლანტას" შემადგენლობაში 29 ქულით საუკეთესო იყო ჯო ჯონსონი. 23 ქულა მოიხვეჭა სათადარიგო ფლიპ მიურეიმ, მაიკ ბიბიმ აქტივში 20 ქულა ჩაიწერა, ხოლო მარვინ უილიამსმა შეხვედრა ორმაგი დუბლით დაასრულა - 16 ქულა, 11 მოხსნა.

"ნიუ ჯერსის" მხრიდან ბომბარდირის როლი დევინ ჰარისმა (20 ქულა) შეასრულა, ლიგის ვარსკვლავმა ვინს კარტერმა კი 18 ქულას მოუყარა თავი.

ამ გამარჯვების შემდეგ ჯორჯიელები სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეორე, ხოლო მთლიანად აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილს ინარჩუნებენ.

წარმატებული გამოდგა გასული უქმეები ესტონეთსა და უკრაინაში მოთამაშე ქართველი კალათბურთელებისთვისაც.

ტარტუს "როკის" ქართველებმა გიორგი ცინცაძემ და ვიქტორ სანიკიძემ მორიგი შესანიშნავი მატჩი ჩაატარეს. მათი ძალისხმევით, ტარტუელებმა ბალტიის ლიგაზე, გასვლით მატჩში, "ვენტსპილსი" 83:75 დაამარცხეს.

ცინცაძემ შეხვედრა სასტარტო ხუთეულში დაიწყო, მოედანზე 36.58 წუთი დაჰყო და დროის ამ მონაკვეთში 22 ქულა, 3-3 მოხსნა-პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა.

სანიკიძემაც, თანამემამულე პარტნიორის მსგავსად, სასტარტოში დაიწყო თამაში, მოედანზე 30.47 წუთი გაატარა და ორმაგ დუბლს გამოჰკრა ხელი - მის აქტივში 13 ქულა, 17 მოხსნა, 4 შედეგიანი გადაცემა და 1 დაფარებაა.

ბალტიის ლიგის გათამაშების ცხრილში "როკი" მეხუთე ადგილზეა. მართალია, მეორე-მეოთხე პოზიციებზე მყოფ გუნდებს ტარტუელებზე ერთი მოგებით მეტი აქვთ, მაგრამ თითო მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

უკრაინის საკალათბურთო ჩემპიონატის ლიდერმა "ბკ კიევმა" კი, რომლის რიგებში მანუჩარ მარკოიშვილი თამაშობს, ქვეყნის პირველობაზე მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად დედაქალაქელებს სასურველი შედეგის მიღწევა გაუჭირდათ.

მეთვრამეტე ტურში "ბკ კიევის" მეტოქე გათამაშების ქვედა ნაწილში მყოფი "პულსარი" იყო. მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და გუნდებს ძირითადი დროის საფინალო სირენამ მაშინ მოუსწრო, როცა ტაბლოზე საყაიმო ანგარიში - 79:79 ენთო. დამატებით ტაიმში დედაქალაქელებმა მეტოქეზე 8 ქულით მეტი მოიპოვეს და 92:84 გაიმარჯვეს.

მარკოიშვილმა მოედანზე გატარებულ 23 წუთში 7 ქულა, 5 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა დააგროვა. ქართველი კალათბურთელის ყველა ცდა მიზანში მოხვდა - მან ორივე ორქულიანი და ერთადერთი სამიანი უშეცდომოდ შეასრულა. ასე რომ, სროლებში ასპროცენტიანი შედეგი ჰქონდა.

როგორც უკვე ვთქვით, კიეველები 16 გამარჯვებით სათავეში უდგანან ცხრილს. მათ მდევარ "აზოვმაშს" კი ერთი მოგებით ნაკლები აქვს.

გერმანელებმა შემადგენლობა დაასახელეს

გერმანიის მორაგბეთა ნაკრები ქართველებთან სათამაშოდ ემზადება.

სულ ცოტაც და, "ბორჯღალოსნები" ერთა თასის მორიგ გათამაშებაში პირველ მატჩს გამართავენ. 7 თებერვალს გერმანიაში ჩვენი ბიჭები გერმანელ მორაგბეებს გაეჯიბრებიან. ტიმ ლეინმა უძლიერესი შემადგენლობა შეკრიბა. ასე რომ, ერთა თასის პირველ მატჩში ჩვენებს დიდი პრობლემები არ უნდა ჰქონდეთ.

გერმანიის სარაგბო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პეტერ იანუშევიჩმა თანაშემწეებთან - რუდოლფ ფინშტერერთან, მარკ კულმანთანა და ბრონო შტოლორცთან თათბირის შემდეგ, ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც "ერთა თასზე" 7 თებერვალს საქართველოს ეროვნულ გუნდს დაუხვდება, 14-ში კი რუმინეთს ესტუმრება.

კირონ დევისი (ბედფორდი, ინგლისი), ბენჯამინ კრაუზე, ბენჯამინ სიმი (ორივე - ჰანოვერი), რობერტ მორი (ლა როშელი, საფრანგეთი), კლემენს ფონ გრუმბკოუ, ალექსანდერ ვიდიკერი (ორივე - ორლეანი, საფრანგეთი), კეჰომა ბრენერი, ტიმ კოლვი, პერ ფაბერი, მუსტაფა გუნგორი, ედმორ ტაკაენდესა, მანუელ ვილჰელმი (ყველა - ჰაიდელბერგი), ბენ ბრირლი, როლფ ვახა (ორივე - ფრანკფურტი), ლარს ეკერტი, მარტენ შტრაუხი (ორივე - ნოინჰაიმი), ტიმ კასტენი (საუთენდი, ინგლისი), დამიენ ტუსაკი (ტულონი, საფრანგეთი), ალექსანდერ ჰუგი, იენს შმიდტი, ტორსტენ ვაიდემენი (ყველა - ჰენდშუჰშეიმი), ბოდო სიბერი (კეიპტაუნის უნივერსიტეტი, სამხრეთ აფრიკა), მიხაელ პოპმაიერი (ლაციო, იტალია), ჯეიმს რიდი (ბარკინგი, ინგლისი).

თუ ხსენებულ მორაგბეთაგან რომელიმემ ტრავმა მიიღო, შეკრებაზე ანჯო ბუკმანი (ჰენდშუჰშეიმი) ან კრისტოფერ ლიბიგი (ჰაიდელბერგი) გამოცხადდებიან.

დიდი სლემის მოსაგებად ნადალმა პირველი ნაბიჯი გადადგა

AFP' 2009

ნადალმა ფედერერი ავსტრალიაშიც გატეხა.

გუშინ მელბურნში, "როდ ლეივერ არენაზე", დასრულდა 2009 წლის პირველი დიდი სლემის ტურნირი. ვაჟთა ტურნირის ფინალურ მატჩში ძველი მეტოქეები - როჯერ ფედერერი და რაფაელ ნადალი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, თუმცა, სანამ ამ დრამატულ მატჩზე გიამბობდეთ, ჯერ შაბათის მოვლენებაზე ვისაუბროთ, როდესაც ქალთა ტურნირის ფინალში დინარა საფინა და სერენა უილიამსი დადგნენ ერთმანეთის პირისპირ.

რუსმა ჩოგბურთელმა ავსტრალიის ღია პირველობაზე კარგად ითამაშა. გულშემატკივარს ჰქონდა იმედი, რომ სერენა უილიამსთან ფინალში საფინა თავდაჯერებულად ითამაშებდა და, თუ ვერ მოიგებდა, ამერიკელ ვარსკვლავს წინააღმდეგობას მაინც გაუწევდა. მაგრამ პროგნოზი არ გამართლდა - ფინალი მხოლოდ 58 წუთს გაგრძელდა, საფინა კი კორტზე სტატისტის როლში აღმოჩნდა. მან მხოლოდ სამი გეიმი მოიგო. საბოლოოდ უილიამსმა 6:0, 6:3 გაიმარჯვა. ეს ტრიუმფი მისთვის საიუბილეო - მეათე გახლდათ "დიდი სლემის" ფარგლებში.

"ბოდიშს ვიხდი, რომ სულ ერთი საათი ვითამაშე, - სიმწარენარევი ხუმრობა სცადა საფინამ, - სერენას ვუსურვებ დამსახურებულ გამარჯვებას. სწორედ ის არის დამნაშავე, რომ ფინალი ასე მალე დამთავრდა. სერენა მართლაც შესანიშნავად თამაშობდა. როცა ბურთს ვაწვდიდი, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ბავშვი ვიყავი. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც მხარს მიჭერდა მთელი ტურნირის განმავლობაში. იმედი მაქვს, მომავალ წელსაც ფინალში ვითამაშებ და უფრო ღირსეულად წარვდგები გულშემატკივრის წინაშე," - განაცხადა მატჩის შემდეგ საფინამ.

"მოვიგე იმიტომ, რომ ძალიან მინდოდა. ტურნირის დაწყების წინ ვვარაუდობდი, რომ შორს წავიდოდი. ფავორიტთა შორის ვხედავდი საკუთარ თავს. თუმცა, გამარჯვებაზე ფიქრს ვერ ვბედავდი. დღეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ვითამაშე," - თქვა 2009 წლის ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულმა.

ვაჟთა ფინალი სანახაობრივადაც კარგი გამოდგა და არც დრამატიზმი აკლდა. მსოფლიო ჩოგბურთის ორმა ვარსკვლავმა ხუთსეტიანი ბრძოლა გააჩაღა.

პირველ სეტში ნადალმა იმარჯვა, მეორეში ფედერერმა მეტოქის მოწოდებაზე გეიმი მოიგო და სეტებში ანგარიში გაათანაბრა. მესამე სეტი ყველაზე დაძაბული გამოდგა - მისი ბედი ტაიბრეიკზე გადაწყდა. ამ საჩოგბურთო ლატარიაში ნადალს გაუმართლა. შვეიცარიელმა მეოთხე სეტი აიღო და ყველაფერი მეხუთე სეტში უნდა გადაწყვეტილიყო. როგორც ჩანს, ფედერერს ძალა არ ეყო. გადამწყვეტ სეტში მას არ წაუვიდა თამაში. ხუთი გეიმის შემდეგ ანგარიში 4:1 იყო ნადალის სასარგებლოდ. ცხადია, ესპანელი ასეთ უპირატესობას ხელიდან არ გაუშვებდა და თამაშიც მისი გამარჯვებით დასრულდა.

ესპანელმა ჩოგბურთელმა სეზონის პირველი დიდი სლემის ტურნირი მოიგო და ალბათ მთლიანად დიდი სლემის მოგების პრეტენზიაც აქვს. საფრანგეთში მას, სავარაუდოდ, კონკურენტი არ ეყოლება. ბალახზე თამაში რომ ისწავლა, ეს შარშანაც გამოჩნდა. მოკლედ, წლეულს შესაძლოა მოხდეს ის, რაც ვაჟთა ჩოგბურთში უკანასკნელად 40 წლის წინ მოხდა. 1969 წელს ავსტრალიელმა ლეგენდამ როდ ლეივერმა დიდი სლემის ოთხივე ტურნირი მოიგო. წლეულს ამის შანსი რაფაელ ნადალს ექნება

"რეალმა" "ვესტ ჰემის" ნახევარმცველს დაადგა თვალი

ლონდონის "ვესტ ჰემის" ფრანგმა ნახევარმცველმა ჟულიენ ფობერმა, შესაძლოა, მიმდინარე სეზონი მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში დაასრულოს.

"სამეფო კლუბს" სურს ფობერი ნახევარი წლით იჯარით აიყვანოს და მზადაა ლონდონელებს 1,5 მილიონი ფუნტი გადაუხადოს.

"ზამთრის სატრანსფერო პერიოდის დასრულებამდე ცოტა დრო დარჩა. მოხარული ვიქნები, თუ ამ ფეხბურთელის მადრიდში გადმოყვანის ყველა პრობლემას დროულად მოვაგვარებთ", - განაცხადა "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ხუანდე რამოსმა.

25 წლის ფრანგი "ვესტ ჰემში" 2007 წლიდან გამოდის და ინგლისის პრემიერლიგაში ჩატარებულ 27 მატჩში გოლი არ გაუტანია.

დატოლო "ნაპოლიში" გააგრძელებს კარიერას

არგენტინელი ნახევარმცველი ხესუს დატოლო, რომელიც გასულ წელს "ბოკა ხუნიორსის" ღირსებას იცავდა, იტალიის სერია A-ს კლუბ "ნაპოლიში" გააგრძელებს კარიერას. დატოლომ კლუბთან კონტრაქტი უკვე გააფორმა. იტალიელებს მისი შეძენა 6 მილიონი ფუნტი დაუჯდათ. "ნაპოლიში" გადასვლით ძლიერ ამაყი ვარ. მარადონასთან ჯერ არ მისაუბრია, მაგრამ ეს ამბავი ლავესისა და დენისს უკვე ვაცნობე. ნაპოლური გუნდისა და ადგილობრივი გულშემატკივრების შესახებ მათ ყველაფერი მიამბეს. მოხარული ვარ, რომ იმ გუნდში ვითამაშებ, რომელშიც თავის დროზე მარადონა გამოდიოდა," - განაცხადა დატოლომ. 24 წლის არგენტინელი "ბოკაში" 2006-2008 წლების სეზონში გამოდიოდა და არგენტინის ჩემპიონატში ჩატარებულ 66 მატჩში 5 გოლი გაიტანა.

აუმადამ "ესპანიოლს" მიაშურა

არგენტინის "რივერ პლეიტის" საყრდენი ნახევარმცველი და გუნდის კაპიტანი ოსკარ აუმადა ესპანეთის პრიმერადივიზიონის "ესპანიოლში" გააგრძელებს კარიერას.

კლუბები ფეხბურთელის სატრანსფერო თანხაზე უკვე შეთანხმდნენ, თუმცა გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა.

აუმადა "რივერ პლეიტში" 2004 წელს გერმანიის "ვოლფსბურგიდან" გადავიდა და გუნდის რიგებში არგენტინის ჩემპიონატში ჩატარებულ 82 მატჩში გოლი არ გაუტანია. 2008 წელს აუმადამ გუნდთან ერთად ქვეყნის პირველობა - "კლაუსურა" მოიგო.

დეფო დაშავდა

ინგლისის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის "ტოტენჰემის" თავდამსხმელი ჯერმეინ დეფო ვარჯიშზე მიღებული ფეხის ტრავმის გამო სამი კვირა ვერ ითამაშებს.

მიმდინარე სეზონში დეფომ ინგლისის პრემიერლიგაში სამი მატჩი ჩაატარა და ორი გოლი გაიტანა.

26 წლის ფორვარდი "ტოტენჰემს" მიმდინარე წლის დასაწყისში "პორტსმუთიდან" დაუბრუნდა, სადაც 2008 წლის განმავლობაში 30 შეხვედრაში 14-ჯერ აიღო მეტოქის კარი.

გივენი "სიტიში?

"ნიუკასლის" ხელმძღვანელობამ გუნდის ძირითად მეკარე შეი გივენს "მანჩესტერ სიტისთან" მოლაპარაკების უფლება მისცა. "სიტის" თავკაც მარკ ჰიუზს ყველაზე მეტად და, რაც მთავარია, სასწრაფოდ მეკარის პოზიციის გაძლიერება სურს, უელსელ სპეციალისტს კი საამისოდ იდეალურ ვარანტად გივენის შეძენა მიაჩნია.

რამდენიმე დღის წინ "ნიუკასლის" თავკაცმა ჯო კინეირმა აღიარა, რომ "სიტის" ხელმძღვანელებისგან ირლანდიელი მეკარის თაობაზე წინადადება მიიღო. კინეირმა მაშინ არც ის დამალა, რომ მანჩესტერელები გივენის სანაცვლოდ 5 მილიონ ფუნტს იხდიდნენ, თუმცა სპეციალისტმა იქვე დაამატა, ასეთი შეთავაზების გამო თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობო.

ბრიტანული პრესა სანდო წყაროზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ გუნდები საბოლოოდ 7-მილიონიან გარიგებაზე შეთანხმდნენ. რამდენად შეეფერება რეალობას ბრიტანელი ჟურნალისტების მიერ დასახელებული თანხა, ამაზე ვერაფერს ვიტყვით, თუმცა მხარეები გარკვეულ შეთანხმებამდე რომ მივიდნენ, ეს ფაქტია. წინააღმდეგ შემთხვევაში "ნიუკასლი" მეკარეს მანჩესტერელებთან მოლაპარაკების უფლებას არ მისცემდა.

ვარაუდობენ, რომ უახლოეს დღეებში გივენი "სიტის" ოფისს ეწვევა და გუნდის თავკაც მარკ ჰიუზს კონტრაქტის პირობებზე დაელაპარაკება.

გივენი "ნიუკასლის" შემადგენლობაში 1997 წლიდან ასპარეზობს და ამ გუნდის ღირსება 354 შეხვედრაში დაიცვა, ირლანდიის ეროვნული ნაკრების ფორმა კი 91 მატჩში მოირგო.

The New York Times offers a “window" to the world

- Every Tuesday, from 20st of January, the leader of the world press New York Times with 24 Saati.

- New York Times selects the articles each week specialy for Georgian Reader.

- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის , ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის , ესპანური ელ პაისისთვის , გერმანული ზიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის , ბრიტანული ობსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepeared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepeared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".

AFP' 2009

აფროსანთა შორის ერთადერთი გარსაქვეყნო სოლო მოგზაურობა "Vendee-Globe", რომელიც სპორტის ამ სახეობაში ურთულესადაა მიჩნეული, საფრანგეთის დასავლეთით საბლ დოლონის სანაპიროზე "Foncia"-ს ფრანგი შკიპერის მიშელ დასჟუაიოს გუშინდელი გამარჯვებით დასრულდა.

პოსეიდონის სამყაროს 30 იახტა სწორედ აქედან საბლ დოლონის სანაპიროდან შარშან 9 ნოემბერს ეკვეთა, მაგრამ დანიშნულების ადგილამდე ასპარეზობას მხოლოდ 12 იახტა შემორჩა.

პირველი შემთხვევა არაა, როდესაც მიშელ დასჟუაიომ პირველმა მიაცურა საკუთარი მონოჰოლი ფინიშამდე. ფრანგი შკიპერი 2001 წელსაც საუკეთესო იყო. ახლანდელი წარმატება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ფრანგმა ზღვაოსანმა დედამიწას რეკორდულ დროში – 84 დღეში შემოუარა. უწინდელ რეკორდს კი ვინსენტ რიუსთან მივყავართ, რომელმაც 2005 წელს ამგვარ მოგზაურობას 87 დღე, ათი საათი და 47 წუთი მოანდომა.

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოძრავი საოპერაციო

ბლოკით

S L T - ლაზერი

გლაუკომის ქირურგია

ოფთალმოქირურგიაში

ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

გააგზავნეთ სმს ჯეოსელიდან , მაგთიდან , ბილაინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ იავნანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად
დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი იავნანა
გაზეთი 24 საათი

განცხადება ტენდერის გამოცხადების შესახებ

1. **სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო** მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150, (X სართული) აცხადებს ტენდერს ნაპირსამაგრი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.
დაფინანსების წყარო: **სახელმწიფო ბიუჯეტი, პროგრამა-ღონისძიება მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები**
შესყიდვის ობიექტია:
მდინარეთა ნაპირსამაგრი სამუშაოები შემდეგი ლოტების მიხედვით:

ლოტი №	ობიექტის დასახელება	სამუშაოების შესრულების სავარაუდო ვადები	შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი
1	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. დარჩელი მდ. ალაზანი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის განმავლობაში	ქვანაყარი ნაპირგამაწყვრილი ნაგებობის მოწყობა
2	სენაკის მუნიციპალიტეტი სოფ. მესხეთი მდ. ცივი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის განმავლობაში	ეროვნის საწინააღმდეგო ქვანაყარი ნაგებობისა და დიტბორვის საწინააღმდეგო გაბიონის მოწყობა
3	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, ქ. წალენჯიხა მდ. ჭალისწყალი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის განმავლობაში	გაბიონის ნაპირგამაწყვრილი ნაგებობის მოწყობა
4	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი. დაბა ჯვარი, ლეარცოფული ხევი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის განმავლობაში	ლეარცოფული კალაპოტის გაწმენდა
5	აბაშის მუნიციპალიტეტი, ქ. აბაშა მდ. რიონი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის განმავლობაში	დაბლორვის საწინააღმდეგო მიწის დამბის აღდგენა
6	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი. დაბა შორეული მდ. ყვირილა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვის განმავლობაში	ბერონის კედლის მოწყობა
7	ვანის მუნიციპალიტეტი. სოფელი ტყვიში მდ.რიონი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვის განმავლობაში	ფლეთილი ქვის ბერმის მოწყობა
8	ქ. ქუთაისი მდ. რიონი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვის განმავლობაში	ქვანაყარი დენისა და ნაპირგამაწყვრილი ნაგებობის მოწყობა
9	ხობის მუნიციპალიტეტი, დაბა ხობისწყალი მდ. ხეფერა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვის განმავლობაში	ფლეთილი ქვის და გაბიონის ბერმის მოწყობა
10	ხობის მუნიციპალიტეტი. სოფ. ხალდასავი მდ. ფუბარიელი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვის განმავლობაში	ბეტონის კედელი და ფლეთილი ქვის ნაგებობა
11	ქობულეთის მუნიციპალიტეტი. მდ. ნაქვისწყალი შესართავთან	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის განმავლობაში	დაბლორვის საწინააღმდეგო გაბიონის მოწყობა
12	ქობულეთის მუნიციპალიტეტი. მდ. ნაქვისწყალი წეფილისძირაგების მიდამოთ	ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის განმავლობაში	გაბიონის ნაპირგამაწყვრილი ნაგებობის მოწყობა
13	ქობულეთის მუნიციპალიტეტი. მდ. ნაქვისწყალი ავარიული გზის ფენრდობის გასწორვა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის განმავლობაში	გაბიონის ნაპირგამაწყვრილი ნაგებობის მოწყობა და ფენრდობის დატერასება
14	ქობულეთის მუნიციპალიტეტი. მდ. ნაქვისწყალი ხალვის სკოლასთან	ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვის განმავლობაში	არსებული ბეტონის კედლის ნაპირგვლის აღდგენითი სამუშაოები
15	ადიგენის მუნიციპალიტეტი. სოფ. ჯარხანი მდ. აბასთუმნის წყალი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის განმავლობაში	ქვანაყარი ბერმის მოწყობა
16	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ ადთაკელი, მდ. შტკერი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვის განმავლობაში	ეროვნის საწინააღმდეგო ქვანაყარი ნაგებობისა და დიტბორვის საწინააღმდეგო გაბიონის მოწყობა
17	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, ყანდაურის ხევი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის განმავლობაში	გაბიონის ნაგებობის მოწყობა
18	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი. წიფლის ხევი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის განმავლობაში	ბეტონის კედლის აღდგენა და შენებლობა
19	ყვარლის მუნიციპალიტეტი. სოფ. ბაღდათუანი მდ. შიორხევი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 თვის განმავლობაში	გაბიონის კედელი მოწყობა
20	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი. სოფ. პერეთის კარი. საურეთი არხი	ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის განმავლობაში	საურეთი არხის ბაღრა-მოწის სამუშაოები

2. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გაცანა, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, პრეტენდენტებს შეეძლებათ სატენდერო კომისიის ადგილზე 2009 **წლის 03 თებერვლიდან 23 თებერვლის 12 საათამდე** განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ მისამართზე.
